

რედაქტორი: გვიად კორძაძე

ალმასრულებელი რედაქტორი: თინათინ შულაროვა

ნომერზე მუშაობდნენ: თამთა საბისკვერაძე

თორნიკე ნემსწვარიძე

დიზაინი და დაკაბადონება: შპს „ბიარტი“

სტამბა: შპს „ბიარტი“



საქართველოს ეროვნული ფონდის პარტნიორი

აკრძალულია ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების
ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება კომერციული
მიზნით ა.ა.ი.პ. საქართველოს იურიდიული ფირმების
ასოციაციის ნებართვის გარეშე

◇ 3 სიფა-ს საქმიანობა

3 საგანმანათლებლო
ლონისძიებები

10 ადვოკატის საქმიანობის უკანონო
ხელშეშლა დასჯადი ქმედება
გახდა

საქართველოს
◇ **11** სამოქალაქო საპროცესო
კოდექსის ცვლილებების
საბოლოო რედაქცია

◇ **32** განხორციელებული
პროექტები/განმარტებები

32 გადახდისუნარობის სამართლის
რეფორმის ადვოკატირების
კამპანია

44 მხარეთა თანასწორობისა და
შეჭიბრებითობის უზრუნველყოფის
ლონისძიებების მონიტორინგი
სისხლის სამართლის პროცესში

◇ **48** მიმდინარე პროექტები

48 სამოქალაქო სამართლის
ტრენინგების ციკლი იურიდიული
დახმარების სამსახურის
ადვოკატებისთვის

49 იურიდიული დახმარებისა
და სტრატეგიული
სამართალწარმოების სერვისები
ქვემო ქართლში

49 სისხლის სამართლის საპროცესო
კოდექსში მხარეთა შეჭიბრებითობის
უზრუნველყოფისთვის რეკომენდაციების
შემუშავება

◇ **51** ერაკლე II-ის მიერ ძფილისალი
ვაჟრის ამბროსიანთ დავითის
ძე ოჰანაზასათვის მიცემული
აზნაურობის და გარბის
დამტკიცების სიგელი

ნანა ამისულაშვილი -
◇ **53** რეპულარული შემოსავლის
მქონე ფიზიკური პირის
ვალების კორექტირება
გადახდისუნარობის საქმის
წარმოებაში

გიორგი ბ. თუშანიშვილი -
◇ **69** კოტენციური მამის თანხმობის
საკითხი ექსტრასკორპორალური
განაყოფიერებით შექმნილ
ემბრიონის ტრანსფერზე ან მის
განადგურებაზე

◇ **75** ქართული სამართლის
ნარკვევებიდან

◇ **81** ადვოკატთა კლუბი

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია ადვოკატთა ასოციაციის მიერ მინიჭებული ინსტიტუციური აკრედიტაციის ფარგლებში განაგრძობს საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზებას სიფა-ს წევრი ადვოკატებისთვის.

ამ კუთხით სიფა აქტიურად თანამშრომლობს სხვა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

◆ „სამართლიანი სასამართლოს ევროპული სტანდარტები“

2016 წლის 15-16 თებერვალს, სასტუმროში „რუმს ჰოტელ თბილისი“. სიფა-ს წევრი ადვოკატებისათვის ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი თემაზე „სამართლიანი სასამართლოს ევროპული სტანდარტები“. ტრენინგს უძღვებოდნენ საერთაშორისო ექსპერტი ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ბატონი ჯერემი მაკბრაითი, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ექსპერტი თბილისის საქალაქო სასამართლოში ქალბატონი ნანა მჭედლიძე და სისხლის სამართლის ექსპერტი, სიფა-ს წევრი იურიდიული ფირმა „VBAT“-ის პარტნიორი, ბატონი დავით კვაჭანტირაძე. ექსპერტების მიერ მიმოხილულ იქნა ევროკონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: საქმის განხილვა მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ; უდანაშაულობის პრეზუმფცია და სასამართლოში წარმომადგენლობა; მოწმის დაკითხვის წესი; საპროცესო შეთანხმება და იმ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი, რომლებიც მოპოვებულია კონვენციის გათვალისწინებული უფლების დარღვევის შედეგად. აგრეთვე, მათ განიხილეს ევროკონვენციის მე-6 მუხლის გამოყენების საკითხი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში და სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრაქტიკა საქართველოში. ტრენინგი მიმდინარეობდა აქტიური კითხვა-პასუხის რეჟიმში, რომლის დასასრულსაც მონაწილეებმა პრაქტიკული სავარჯიშოს სახით განიხილეს ექსპერტების მიერ მათთვის მომზადებული კაზუსი. ტრენინგი ორგანიზებული იყო ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტების: „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“ ფარგლებში.



◇ „ყოველწლიური სამართლებრივი სტადიების კონკურსი სტუდენტებისთვის“



საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ „ქართულ-ნორვეგიული“ კანონის უზენაესობის ასოციაციასთან თანამშრომლობით უკვე მეორედ განახორციელა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის განკუთვნილი პროექტი „სამართლებრივი სტადიების ყოველწლიური კონკურსი სტუდენტებისთვის“. კონკურსი გამოცხადდა 2016 წლის 17 მარტს და მიმდინარეობდა სამი თვის განმავლობაში. კონკურსის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული, რომელიც სტაჟირებას გაივლის სიფა-ს წევრ წამყვან იურიდიულ კომპანიაში. გამარჯვებულის სტატია გამოქვეყნდა სიფა-ს ვებგვერდზე.

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია და „ქართულ-ნორვეგიული“ კანონის უზენაესობის ასოციაცია ერთობლივ საგანმანათლებლო პროექტებს ახორციელებენ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ 2015 წლის მემორანდუმის საფუძველზე.

◇ სამუშაო შეხვედრები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებების საბოლოო რედაქციის შემუშავების მიზნით

2016 წლის 13-15 მაისს სასტუმროში „კროუნ პლაზა ბორჯომი“ შედგა საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის სამუშაო შეხვედრა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებების საბოლოო რედაქციის შემუშავების მიზნით. სამუშაო შეხვედრას სიფა-ს ადვოკატების გარდა ესწრებოდნენ „საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“ (UJG), „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (GIZ) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (EWMI-PROLoG) წარმომადგენლები. შეხვედრაზე სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს შესაცვლელ მუხლთა საბოლოო რედაქციის

შემუშავებაზე. „საქართველოს მოსამართლეთა ერთობამ“ და „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ“ წარმოადგინეს წერილობითი შენიშვნები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებათა პროექტის შესახებ.



2016 წლის 5-6 ნოემბერს სასტუმროში „ამბასადორი კატრეთი“ მოეწყო დასკვნითი სამუშაო შეხვედრა სიფა-ს სამოქალაქო სამართლის ჯგუფის წევრებს შორის. გასვლითი შეხვედრის შედეგად განხილულ იქნა მოწოდებული წერილობითი შენიშვნები და შემუშავდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებების საბოლოო ვარიანტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებების საბოლოო რედაქცია წარმოდგენილია აღნიშნულ ნომერში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის სიფა-ს ვებგვერდზე (www.alfg.ge). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებების პროექტის სამუშაო პროცესის მხარდამჭერია აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (EWMI- PROLoG).

❖ ტრენინგი ჟურნალისტებისთვის თემაზე „ზოგადი ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ“

2016 წლის 11-12 ივნისს ამერიკის იურისტთა ასოციაციამ (ABA) და საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ ჩაატარა ტრენინგი ჟურნალისტებისთვის თემაზე - „ზოგადი ინფორმაცია ნაფიცმსაჯულთა სასამართლოს შესახებ“. ტრენინგს უძღვებოდნენ საქართველოს იური-დიული ფირმების ასოციაციისა და ABA-ის წარმომადგენლები. ტრენინგზე ჟურნალისტები გაეცნენ სისხლის სამართლის პროცესის ზოგად პრინციპებსა და დებულებებს, ნაფიცმსაჯულთა სასამართლოს დანიშნულებასა და ფუნქციონირების წესებს საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით. მონაწილე ჟურნალისტებისთვის ჩატარდა პრაქტიკული ხასიათის სავარჯიშოები ადვოკატთა გასაუბრებისთვის მოსამზადებლად საჭირო უნარ-ჩვევების შესწავლის მიზნით.

ტრენინგები მიზნად ისახავდა სამართლებრივ სფეროში დასაქმებული ჟურნალისტების ცოდნის დონის ამაღლებას სისხლის სამართლის და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ.

ტრენინგი დაფინანსდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) მიერ.



◆ შეხვედრა სუზან ლისტან და ტონი სტრიველერთან

2016 წლის 23 ივნისს, გაიმართა შეხვედრა სიფა-ს სისხლის სამართლის მიმართულების ადვოკატებსა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მოწვეულ აშშ-ის მოსამართლე ქ-ნ სუზან ლისტან და პრობაციის სამსახურის მრჩეველ ბ-ნ ტონი სტრიველერთან. შეხვედრის თემა ეხებოდა აშშ-ი არსებულ წინასასამართლო (ბრალდებულის) პრობაციის სამსახურის ინსტიტუტს, რომლის ქართული მოდელის შესახებ კანონპროექტი ამჟამად მომზადების სტადიაზეა. წინასასამართლო (ბრალდებულის) პრობაციის ინსტიტუტი წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლოს წარუდგენს ობიექტურ ინფორმაციას ბრალდებულის პიროვნების შესახებ, მას აქვს სარეკომენდაციო ძალა და ეხმარება მოსამართლეს განსაზღვროს აღკვეთის ღონისძიების ზომა.



შეხვედრა მიმდინარეობდა აქტიური დისკუსიის და აზრთა გაცვლის ფორმატში.

◆ შეხვედრა ჯორჯიის შტატის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტთან და წევრ ადვოკატებთან

2016 წლის 25 აგვისტოს, „საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის“ ოფისში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების, კერძოდ, ჯორჯიის შტატის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტ რობერტ რუბინის, მისი დელეგაციისა და სიფა-ს წევრ იურიდიული კომპანიების წარმომადგენლებს შორის. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს და განსაზღვრეს სამომავლო თანამშრომლობის გეგმა, რომლის მთავარი მიზანია სისხლის სამართლის ადვოკატების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე დაცვის მხარის ეფექტურად განხორციელების კუთხით.



◆ ბიზნეს ლანჩი/მრგვალი მაგიდა „მეწარმეთა შესახებ კანონის გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები“

2016 წლის 1 ნოემბერს, სასტუმროში „ქორთიარდ მარიოტი“ „საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ“ გამართა მრგვალი მაგიდა/ბიზნეს ლანჩი თემაზე „მეწარმეთა შესახებ კანონის გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები“. ღონისძიების მხარდამჭერი გახლდათ „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება“ (GIZ). შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის წევრი ადვოკატები.

ღონისძიებაზე განიხილეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პრაქტიკაში გამოყენების პრობლემاتيკა, მათ შორის სასამართლო პრაქტიკაში





არსებული პრობლემები და საკანონმდებლო ხარვეზები. კერძოდ, მომხსენებელთა მიერ მომზადებული პრეზენტაციები ეხებოდა შპს-ში დირექტორის გათავისუფლების და პარტნიორის გარიცხვის საკითხს, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დანიშვნას და არაიდენტიფიცირებული წილის

გადანაწილებას სასამართლოს მიერ. სასამართლო პრაქტიკის და კანონის ხარვეზები განხილულ იქნა ნამდვილ საქმეებზე დაყრდნობით. შეხვედრა მიმდინარეობდა აქტიური დისკუსიის და აზრთა გაცვლის ფორმატში.

ლანჩ შეხვედრები საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. ამ ტიპის შეხვედრების მიზანია იურიდიულ წრეში აქტუალური საკითხების განხილვა და ადვოკატთა ცოდნის დონის გაღრმავება მათთვის მნიშვნელოვან თემებზე.



◆ საშუალო შეხვედრა ენტონი ფისერთან

2016 წლის 8-9 დეკემბერს, ლოპოტაზე, „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ (EWMI) მიერ განხორციელებული პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით გაიმართა სიფა-ს სტაჟირების პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. სამუშაო შეხვედრას უძღვებოდა EMWI-PROLoG-ის ექსპერტი ბატონი ენტონი ფისერი. სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს სიფა-ს სტაჟირების პროგრამის კონცეფცია და სტანდარტები, მათ შორის, სტაჟიორების მიღების პროცედურა, სტაჟიორთა შეფასება, სტაჟირების პროგრამის თეორიული და პრაქტიკული სწავლების კურსები და სხვ. სიფა განაგრძობს სტაჟირების პროგრამის საბოლოო პროექტზე მუშაობას EWMI-PROLoG-ის მხარდაჭერით.

საგანმანათლებლო ღონისძიებები

სამუშაო შეხვედრას წინ უძღოდა 5 დეკემბრის მოსამზადებელი შეხვედრა ბატონ ენტონი ფისერთან.

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის წევრ იურიდიულ კომპანიებს შორის გაფორმებულია სტაჟირების ერთიანი მოდელის დანერგვის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის თანახმადაც იურიდიული კომპანიები იწყებენ ადვოკატის პროფესიაში სტაჟირების გავლის ერთიანი წესის ამოქმედებას.





◇ ადვოკატის საქმიანობის უკანონო ხელშეშლა დასჯადი ქმედება გახდა

ფონდ „ლია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით სიფა-ს მიერ განხორციელებული პროექტის – „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა შეჭიბრებითობის უზრუნველყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავება“ – ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტი ადვოკატთა საქმიანობაში უკანონო ჩარევის კრიმინალიზაციის შესახებ საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა, რაც ნიშნავს იმას, რომ ადვოკატის საქმიანობაში უკანონო ჩარევა დანაშაულებრივი ქმედება გახდა და ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით.

ცვლილებების შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე და 365-ე მუხლების თანახმად, დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა დანაშაულად ჩაითვალა და გამომძიებლისა და პროკურორის საქმიანობაში უკანონო ჩარევის ანალოგიურად დაისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ვადით 180-დან 240 საათამდე, ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე. ასევე, დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით ადვოკატის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

„საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია“ მადლობას უხდის პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს აქტიური თანამშრომლობისთვის და ადვოკატის პროფესიული უფლებების დაცვის განტმკიცებაში წვლილის შეტანისათვის.



◇ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებების საბოლოო რედაქცია

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

კანონის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. შეჭიბრებითობის პრინციპი

2. საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს, საქმის მოსამზადებელი ეტაპის დასრულებამდე, შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სასამართლოს მიერ აღნიშნული უფლება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მხარეებს თანაბრად მიეცეთ შესაძლებლობა წარადგინონ მტკიცებულებები და არგუმენტაცია თავიანთი მოთხოვნის დასასაბუთებლად.“

კანონის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 53. სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

1. იმ მხარის ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის ადვოკატის მომსახურების ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს, მხარესა და ადვოკატს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. სასამართლოს შეუძლია საქმის სირთულის და დავის საგნის ღირებულების გათვალისწინებით, დასაბუთებულად, შეამციროს არაგონივრულად მაღალი ადვოკატის ხარჯები.“

კანონის 53-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:

„5. მ მუხლით დადგენილი ხარჯების განაწილების წესი არ მოქმედებს ამ კოდექსის 187⁶-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“



კანონის 83-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 83. მხარეთა საპროცესო უფლებები

1. მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მხარეებს, მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.”

კანონის 93-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 93. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით

1. მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს – იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შეუძლია იმოქმედოს ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით.“

კანონის 94-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 94. პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში

1. სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ:

ა) ადვოკატები;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სახელმწიფო ორგანიზაციების თანამშრომლები - ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე;

გ) ერთ-ერთი თანამონაწილე – დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით;

დ) სხვა ქმედუნარიანი პირები – მაგისტრატი მოსამართლის დაქვემდებარებულ საქმეებზე”.



96-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 96. წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება

1. წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. ფიზიკური პირის მიერ გაცემული მინდობილობა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მარწმუნებელი მუშაობს ან სწავლობს, იმ სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც ფიზიკური პირი სამკურნალოდ იმყოფება, შესაბამისი სამხედრო ნაწილის მიერ, თუ მინდობილობა სამხედრო მოსამსახურემ გასცა. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ გაცემულ მინდობილობას ამოწმებს ამ დაწესებულების ადმინისტრაცია.
2. მინდობილობას იურიდიული პირის ან ორგანიზაციის სახელით გასცემს შესაბამისი იურიდიული პირის ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა პირი.
3. წარმომადგენლობის უფლებამოსილება შეიძლება დადასტურდეს ზეპირად, სასამართლო სხდომის ოქმში შეტანით, თუკი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი უშუალოდ ან სასამართლოს მიერ დაშვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გასცემს აღნიშნულ უფლებამოსილებას.“

კანონის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 102. მტკიცების ტვირთი. მტკიცებულებათა დასაშვებობა

2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება მხარეთა (მესამე პირთა) წერილობითი ახსნა-განმარტებით, მოწმეთა წერილობითი და/ან ზეპირი ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.“

კანონის 103-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 103. მტკიცებულებათა შეგროვება

- „1. მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მოსამზადებელ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. სასამართლო არ არის უფლებამოსილი მიუთითოს მხარეს კონკრეტული მტკიცებულების წარმოდგენის შესახებ.“



კანონის 127-ე, 128-ე და 130-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 127. მხარეთა ახსნა-განმარტების მიღება

თუ სარჩელს ხელს აწერს მხარე, სარჩელში მითითებული გარემოებები ჩაითვლება მხარის ახსნა-განმარტებად. თუ სარჩელს ხელს აწერს მხარის წარმომადგენელი, სარჩელს შესაძლებელია თან ერთვოდეს მხარის წერილობითი ახსნა-განმარტება. იგივე წესი გავრცელდება შესაგებელსა და მესამე პირის პოზიციაზე.

მუხლი 128. მოსამართლეთა შეკითხვები

მოსამართლეს, მხარეთა დაკითხვის დროს, შეუძლია მხარის მიერ მიცემულ წერილობით ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით მისცეს დამაზუსტებელი შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას.“

**მუხლი 130. ახსნა-განმარტების მიღება ერთ-ერთი მხარის გამო-
უცხადებლობის შემთხვევაში**

ერთი მხარის მიერ ახსნა-განმარტების წარმოუდგენლობა ვერ დააბრკოლებს მეორე

მხარის მიერ ახსნა-განმარტების წარმოდგენის შესაძლებლობას.“

140-ე მუხლის მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 140. მოწმის დაკითხვა

3. მხარე უფლებამოსილია საქმის მოსამზადებელ ეტაპზე წარადგინოს მოწმის წერილობითი ჩვენება. მხარე ან მხარის წარმომადგენელი განუმარტავს მოწმეს მის ვალდებულებას ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე და ფიცის ქვეშ მისცეს ჩვენება, რაც დაფიქსირებული უნდა იყოს წერილობით წარმოდგენილ ჩვენებაში, ასევე მიუთითოს მისი სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

5. მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმის წერილობით ჩვენებასთან დაკავშირებით, მეორე მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს აღნიშნული მოწმის სასამართლოში დაკითხვა. თუ მეორე მხარე აყენებს შუამდგომლობას მოწმის დაკითხვაზე, მოწმის დაკითხვა უნდა მოხდეს მოსამზადებელ ეტაპზე. თუ მხარე არ აყენებს ასეთ შუამდგომლობას საქმის მომზადების ეტაპზე, იგი კარგავს უფლებას დაკითხოს მოწმედ პირი, ვისი წერილობითი ჩვენებაც წარმოდგენილია საქმეში.

6. თუ მეორე მხარე აყენებს შუამდგომლობას მოწმის დაკითხვის თაობაზე, მოწმე იკითხება როგორც საქმეზე შემხებლობასთან, ასევე საქმის თაობაზე მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ. მეორე



მხარეს და ასევე მოწმის წარმომდგენ მხარეს უფლება აქვს დაუსვან კითხვები მოწმეებს.

7. თუ გამოძახებული მოწმე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, მოწმის წერილობით მიცემული ჩვენება კარგავს მტკიცებულების ძალას.

8. თუ სასამართლო პროცესზე მოწმის მიერ მიცემული ჩვენება ეწინააღმდეგება მის წერილობით ჩვენებას, უპირატესობა ენიჭება სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებას.

9. მოწმე შესაძლებელია დაიკითხოს მთავარ სხდომაზე, თუ გამოვლინდა ისეთი გარემოება, რომელიც არ იყო ცნობილი საქმის მოსამზადებელ ეტაპზე.”

კანონის 141-ე მუხლის დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:
„მუხლი 141. პირები, რომლებიც არ შეიძლება დაკითხულ იქნენ მოწმედ

ე) მოწმედ არ შეიძლება დაიკითხოს პირი, რომელიც ესწრებოდა იმავე საქმის განხილვას სასამართლოში, გარდა მხარისა და მესამე პირის.“

კანონის 148-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 148. მოწმის დაკითხვა

1. ყოველი მოწმე ცალკე უნდა დაიკითხოს. მოწმეები, რომლებსაც ჯერ არ მიუციათ ჩვენება, არ უნდა იყვნენ სასამართლო სხდომის დარბაზში. დაკითხული მოწმეები რჩებიან სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის დამთავრებამდე და არ შეუძლიათ გავიდნენ დარბაზიდან სასამართლოს ნებართვის გარეშე.

2. მოწმის დაკითხვა იწყება მისი პიროვნების გარკვევით (სახელი, გვარი, საცხოვრებელი და საქმიანობის ადგილი და ა. შ.).

3. მოწმეს პირველად შეკითხვას აძლევს მხარე, რომლის ინიციატივითაც იგი დაიბარეს ან მხარის წარმომადგენელი, შემდეგ – მოწინააღმდეგე მხარე ან მისი წარმომადგენელი.

4. მხარეთა შეკითხვების დასრულების შემდეგ მოსამართლეს შეუძლია დამაბუხებელი შეკითხვები დაუსვას მოწმეს მის მიერ ჩვენებაში აღწერილ გარემოებებთან დაკავშირებით.

5. ერთსა და იმავე საქმესთან დაკავშირებით დაბარებული მოწმეების დაკითხვა ხდება ერთსა და იმავე დღეს ან ისეთ ვითარებაში, როდესაც უზრუნველყოფილია მოწმის იზოლირება მხარეებისა და სხვა მოწმეებისგან.

6. იმ შემთხვევაში, თუ შეკითხვა არ ემსახურება საქმის გარემოებების გამოკვლევას, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მხარის პროტესტის საფუძველზე მოხსნის ასეთი შეკითხვას.

7. მხარის შუამდგომლობით და მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა ამ კოდექსის 127-ე



მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, რის შესახებაც წინასწარ ეცნობება მხარეებს.“

კანონის 149-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 149. მოწმის განმეორებით დაკითხვა:

სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს მხარის დასაბუთებული შუადგომლობა მოწმის განმეორებით დაკითხვის თაობაზე, თუ გამოვლინდა, რომ მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებაში გარკვეული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. განმეორებითი დაკითხვისას მოწმეს შეიძლება დაესვას მხოლოდ დასაზუსტებელ საკითხთან დაკავშირებული შეკითხვები.“

კანონის 158-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მესამე ნაწილი

კანონის 162-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 162. ექსპერტიზის დანიშვნა

1. სასამართლოს შეუძლია, საქმის მომზადების ეტაპზე, თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია და აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

2. მხარეებს შეუძლიათ სასამართლოსგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ ექსპერტიზის ჩატარება. ასეთ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა სასამართლოს უნდა წარედგინოს სასამართლოში საქმის აღძვრის ან საქმის მომზადების სტადიაზე. სარჩელის (შესაგებლის) წარდგენისას მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ვადა ექსპერტის დასკვნის წარმოსადგენად.

3. სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით, მთავარ სხდომაზე გამოიტანოს განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის ან მხარისთვის ექსპერტიზის ჩასატარებლად აუცილებელი ვადის განსაზღვრის თაობაზე, თუ საქმეს, მთავარ სხდომაზე, საპატიო მიზეზით დაერთვება ისეთი მტკიცებულება, რომელიც იწვევს ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობას.

4. მხარის მიერ ექსპერტის დასკვნის წარმოდგენლობა არ შეიძლება გახდეს საქმის განხილვის გადადების საფუძველი, თუმცა სასამართლოს შეუძლია განუსაზღვროს მხარეს დამატებითი ვადა ექსპერტიზის დასკვნის წარმოსადგენად.

5. ექსპერტი შეიძლება დაიკითხოს მის მიერ გაცემულ დასკვნასთან დაკავშირებით, მხარის შუადგომლობის საფუძველზე 140-ე მუხლით გათვალისწინებული მოწმის დაკითხვის წესების მიხედვით.“



კანონის 163-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 163. განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ

1. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხებზეა საჭირო ექსპერტიზის დასკვნა, თუ რა სპეციალური ცოდნა არის საჭირო საკითხის განმარტებისთვის, ვინ დაინიშნა ექსპერტად და რა მასალები წარედგინა ექსპერტს გამოსაკვლევად. აუცილებლობის შემთხვევაში ექსპერტიზის ჩასატარებლად სასამართლო ნიშნავს რამდენიმე ექსპერტს.“

კანონის 168-ე მუხლიდან ამოღებულ იქნას მე-4 ნაწილი, ხოლო მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 168. ექსპერტის უფლებები და მოვალეობები

5. ექსპერტიზასთან დაკავშირებული გარემოებების გამოსარკვევად ექსპერტს, საქმის მოსამზადებელ ეტაპზე, უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, სასამართლოს მეშვეობით დაუსვას მხარეებსა და მოწმეებს შეკითხვები, მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა დათვალიერებასა და შემოწმებაში, აგრეთვე განსაზღვროს დამატებითი მასალები, რომლის გარეშეც შეუძლებელია ექსპერტიზის ჩატარება.“

კანონის 173-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„მუხლი 173. დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზა

1. თუ ექსპერტის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით, მოსამზადებელ ეტაპზე, დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა, თუ არსებობს ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობები.

2. თუ სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით, მოსამზადებელ ეტაპზე, დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს, თუ არსებობს ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები.“

კანონის კოდექსის 184-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 ნაწილი

„მუხლი 184. სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისთვის ჩაბარება

7. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე სარჩელთან ერთად, სასამართლოს მიმართავს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ



განცხადებით, სასამართლო ვალდებულია თავად უზრუნველყოს მოპასუხისთვის საქმის მასალების ჩაბარება არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა განცხადების მიღებიდან“.

კანონის XXIII თავის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XXIII. სარჩელის უზრუნველყოფა და დროებითი შეზღუდვა“

კანონის 191-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 191. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

1. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოსარჩელის განცხადებით, სასარჩელო მოთხოვნის აღსრულების უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს დავის დასრულებამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები. სასარჩელო მოთხოვნის აღსრულების უზრუნველყოფისას მიღებულ განჩინებაში სასამართლოს მსჯელობა სარჩელის საფუძვლებსა და დაკმაყოფილების მატერიალურ და პროცესუალურ წინაპირობებზე არ მოახდენს გავლენას სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე და არ წარმოადგენს მოსამართლის მიერ აზრის წინასწარ გამოთქმას საქმის განხილვის შესაძლო შედეგებზე.

2. სასამართლო დააკმაყოფილებს, თუ დასაბუთებულად დაასკვნის, რომ მოსარჩელემ დაამტკიცა ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოება: ა. არსებობს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების დასაბუთებული ალბათობა; ბ. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში არსებობს დასაბუთებული მაღალი რისკი, რომ მისი მთლიანად ან ნაწილობრივ აღსრულება შეუძლებელი გახდება ან გართულდება და/ან უზრუნველყოფის გამოუყენებლობა გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც ვერ იქნება კომპენსირებული მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით; გ. ის სავარაუდო ზარალი, რომელიც შესაძლოა მიადგეს მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განუხორციელებლობით, უფრო მაღალია ვიდრე ზიანი, რომელიც მიადგება მოპასუხის კანონიერ ინტერესებს უზრუნველყოფის ამგვარი ღონისძიების გამოყენებით. სასამართლო, თავისი ინიციატივით ან მოპასუხის თხოვნით, იმავე განჩინებით, რომლითაც დაწესდება უზრუნველყოფა, ასევე მოსთხოვს მოსარჩელეს უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენას 199-ე მუხლმოსარჩელის განცხადებას სარჩელის სასარჩელო მოთხოვნის აღსრულებადობის უზრუნველყოფის შესახებით დადგენილი წესით.

3. თუ სასამართლო დასაბუთებულად დაასკვნის, რომ სახეზეა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები, იგი დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სასამართლოს განჩინება სარჩელის



უზრუნველყოფის შესახებ საჩივრდება კერძო საჩივრით.

4. განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება.

5. სასამართლოს განჩინებასარჩელის უზრუნველყოფის შესახებ უნდა შეიცავდეს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ღირებულებას. ამგვარი განჩინების საფუძველზე მოპასუხის ქონებაზე უზრუნველყოფის ზომის რეგისტრაციისას, რეგისტრაციის დოკუმენტში უნდა აღინიშნოს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ღირებულება.

6. თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას არ ახლავს ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, ან/და სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ხარვეზის თაობაზე და განმცხადებელს აძლევს ვადას მის შესავსებად. დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სასამართლო თავისი განჩინებით განცხადებას განუხილველად დატოვებს, რაც გასაჩივრდება კერძო საჩივრით.

7. ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფინანსურ გირაოზე (ფინანსური გირაოს საგანზე) და მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშებზე.

კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 191¹ მუხლი:

მუხლი 191¹. დროებითი შეზღუდვა

1. მოსარჩელეს შეუძლია სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებასთან ერთად ან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს სასამართლოს განცხადებით დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოცემის შესახებ. განცხადება დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოცემაზე უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც ადასტურებს იმ გამოუსწორებელ და მყისიერ ზიანს, რასაც განმცხადებელი განიცდის ან შეიძლება განიცადოს, თუ სასამართლო ბრძანების გამოცემაზე აცნობებს მეორე მხარეს და გამართავს მოსმენას. ამავე განცხადებაში მოსარჩელე წარმოადგენს შესაბამის დასაბუთებას, თუ დროებითი შეზღუდვის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია აუცილებლად.

2. თუ სასამართლო მოსარჩელის განცხადებას დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოტანის შესახებ მიიჩნევს დასაბუთებულად და ჩათვლის, რომ უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვის დასრულებამდე მოპასუხემ შესაძლებელია განიცადოს გამოუსწორებელი და მყისიერი ზიანი, სასამართლო გამოიტანს



დროებითი შეზღუდვის ბრძანებას 193¹ მუხლით გათვალისწინებული წესით.

კანონის 192-ე და 193-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 192. განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის და დროებითი შეზღუდვის შესახებ სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე

1. განცხადება დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოცემის ან სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე.
2. სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანიდან 10 დღის ვადაში. თუ ამ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ.

მუხლი 193. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვის წესი

1. სასამართლო განიხილავს და გადაწყვეტს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მისი მიღებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ 5 (ხუთი) დღით.
2. სასამართლო დადგენილი წესით, განცხადების მიღებიდან 3 (სამი) დღის ვადაში გაუგზავნის განცხადების და მასზე თანდართული მტკიცებულებების ასლს. მოპასუხეს სასამართლოს განჩინებით მიეცემა 5 (ხუთი) დღის ვადა განცხადებაზე მოსაზრების წარმოსადგენად. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე წარადგენს მოსაზრებას მოსარჩელის განცხადებაზე, სასამართლო დანიშნავს საკითხის ზეპირ განხილვას. თუ მოპასუხე არ წარადგენს მოსაზრებას წინამდებარე პუნქტით დადგენილ ვადაში, სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მხარეთა დაუსწრებლად, ზეპირი მოსმენის გარეშე.
3. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოცემისას სასამართლო იმსჯელებს უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის აუცილებლობაზე, რაზეც გავრცელდება 199-ე მუხლით გათვალისწინებული წესები.



კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 193¹ მუხლი:

„მუხლი 193¹. დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოცემის შესახებ განცხადების განხილვის წესი

1. სასამართლო გამოიტანს დროებითი შეზღუდვის ბრძანებას განცხადების მიღებიდან 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში, მხარეთა დაუსწრებლად. მოპასუხეს არ ეცნობება დროებითი შეზღუდვის ბრძანების შესახებ განცხადების მიღების თაობაზე.
2. დროებითი შეზღუდვის ბრძანება გაიცემა 23 დღის ვადით და ვადის გასვლის მიზეზით მისი მოქმედების შეწყვეტა არ საჭიროებს სასამართლოს განჩინებას.
3. დროებითი შეზღუდვის ბრძანება არ საჩივრდება.
4. დროებითი შეზღუდვის ბრძანება დაუყოვნებლივ გადაეცემა მოსარჩელე მხარეს აღსრულების მიზნით, ხოლო მისი გამოცემიდან მე-3 დღეს გადაეცემა მოპასუხე მხარეს სასამართლოს მიერ“.

კანონის 194-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 194. განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

4. სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ამ კოდექსის 285-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელშიც მითითებული უნდა იყოს, უზრუნველყოფის რომელი კონკრეტული ღონისძიება შეარჩია სასამართლომ. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაში ასევე მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფილი სარჩელის ფასი.
5. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც გასაჩივრდება კერძო საჩივრით.“

კანონის დაემატოს შემდეგი შინაარსის 194¹ მუხლი:

„მუხლი 194¹. დროებითი შეზღუდვის ბრძანება

ამ კოდექსის 191¹ მუხლის თანახმად გამოტანილი დროებითი შეზღუდვის ბრძანებაში უნდა აღინიშნოს:

- ა) მითითება ბრძანების მიღების დროსა და ადგილზე;
- ბ) ბრძანების გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- გ) მხარეები და დავის საგანი;
- დ) საკითხი, რომელზეც მიღებულია განჩინება;
- ე) სასამართლოს ბრძანების დასაბუთება, შესაბამისი მოტივების მითითებით;
- ვ) დროებითი შეზღუდვის ზომა, რომელიც გამოყენებულია



სასამართლოს მიერ;

ზ) ბრძანების მოქმედების ვადა და მითითება, რომ ბრძანება უქმდება აღნიშნული ვადის გასვლისთანავე”.

კანონის 195-ე, 196-ე, 197-ე, 197-ე და 198-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 195. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების და დროებითი შეზღუდვის ბრძანების აღსრულება

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების და დროებითი შეზღუდვის ბრძანების აღსრულება ხორციელდება დაუყოვნებლივ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით.

მუხლი 196. სარჩელის უზრუნველყოფის და დროებითი შეზღუდვის შეცვლა

1. მოპასუხის ქონების ღირებულება, რომლის მიმართაც არის მოთხოვნილი ან გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება ან დროებითი შეზღუდვა, არსებითად არ უნდა აჭარბებდეს მოსარჩელის მოთხოვნის ღირებულებას. აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხის სახელზე ირიცხება სარჩელის ღირებულების ტოლფასი მხოლოდ ერთი ქონება.

2. მოპასუხე უფლებამოსილია სასამართლოს წარმოუდგინოს სხვა, მოსარჩელის მოთხოვნის ღირებულების ტოლფასი ქონება უზრუნველყოფის ან შეზღუდვის მიზნით ან მიმართოს სასამართლოს განცხადებით უზრუნველყოფით დატვირთული ან დასატვირთი ან დროებით შეზღუდული ქონების გამიჯვნის (ნატურით გაყოფის) შესახებ. სასამართლო თავისი განჩინებით დააკმაყოფილებს მოპასუხის თხოვნას უზრუნველყოფის ან შეზღუდვის საგნის გამიჯვნის (ნატურით გაყოფის) შესახებ თუ მიიჩნევს, რომ სახეზეა ერთობლივად შემდეგი პირობები: ა. უზრუნველყოფით დასატვირთი ან დატვირთული ქონების ღირებულება არსებითად აღემატება სარჩელის ფასს; ბ. ქონების გამიჯვნა შესაძლებელია; და გ. გამიჯვნის შედეგად გამოყოფილი ქონების ღირებულება საკმარისი იქნება სარჩელის უზრუნველსაყოფად.

3. მხარის განცხადების საფუძველზე დასაშვებია დროებითი შეზღუდვის და სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა.

4. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ნებისმიერ სტადიაზე.

5. სარჩელის უზრუნველყოფის და დროებითი შეზღუდვის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხი განიხილება ბეპირი მოსმენის გარეშე. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი



შეცვლის საკითხის განსახილველად სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

6. როდესაც ქონება გამოყენებულია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, გარდა აღნიშნული ქონების მიმართ ვინდიკაციური მოთხოვნებისა, მოპასუხეს უფლება აქვს უზრუნველყოფის ან შეზღუდვის საგნის ნაცვლად სასამართლოს შესთავაზოს მოთხოვნის ფასის შესაბამისი ფულადი უზრუნველყოფა საბანკო გარანტიის ან ანგარიშზე თანხის განთავსების ფორმით და სასამართლო ვალდებულია ჩაანაცვლოს გამოყენებული უზრუნველყოფა ან შეზღუდვა.

7. სასამართლო მიიღებს განჩინებას უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლაზე განცხადების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, ხოლო დროებითი შეზღუდვის ერთი სახის მეორეთი შეცვლაზე - განცხადების მიღებიდან 24 საათის ვადაში.

„მუხლი 197. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრება

1. სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება და მისი ათვლა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისთვის გადაცემის მომენტიდან.

2. სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილ განჩინებაზე მოპასუხის მიერ შეტანილი საჩივარი უნდა შეიცავდეს:

ა) სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილი განჩინების ზუსტ დასახელებას;

ბ) მითითებას, თუ რა ზომით უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ;

გ) გარემოებებს, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ.

3. კერძო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს სარჩელის უზრუნველყოფის, უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ გამოტანილ განჩინების აღსრულებას.“



მუხლი 197¹. სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის წარმოებაში მიღება და განხილვა

1. სასამართლო კერძო საჩივრის მიღებიდან ერთი დღის ვადაში გააგზავნის კერძო საჩივარს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.
2. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების, განხილვის და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი მიღებიდან 10 დღეს.“

მუხლი 198. სარჩელის უზრუნველყოფის და დროებითი შეზღუდვის ღონისძიებები

- 1 საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის თუ დროებითი შეზღუდვის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად.
2. სარჩელის უზრუნველყოფის და დროებითი შეზღუდვის ღონისძიებები შეიძლება იყოს:
 - ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;
 - ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;
 - გ) მოპასუხის დავალდებულება, გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით; (15.07.2008 N 212 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან)
 - დ) სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება;
 - ე) ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება, გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა; (15.12.2010. N4075)
 - ვ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება; (24.09.2009. N1701)
- ბ) ამოღებულია (13.07.2006. N3435)
- თ) ამოღებულია (13.07.2006. N3435)
- ი) სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. (11.07.2007. N5291)



3. სასამართლოს, 191 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის და დროებითი შეზღუდვისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის და დროებითი შეზღუდვის რამდენიმე სახე.

4. გადაუდებელ შემთხვევებში სარჩელის უზრუნველყოფის და დროებითი შეზღუდვის ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებული იყოს მექანიზმი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება სასარჩელო მოთხოვნას და არ არის ჩამოთვლილი 198 მუხლში, თუმცა 191 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მისი გამოყენება დასაბუთებულია და მისი გამოყენების გარეშე მხარეს ადგება მნიშვნელოვანი ზიანი.

კანონის 199¹ მუხლის დამატოს შემდეგი შინაარსის მე-2 ნაწილი:

„მუხლი 199¹. სასამართლოს გადაწყვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

2. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის შედეგად მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის ღონისძიება ძალაში რჩება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მიუხედავად, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში. თუ ამ ვადაში მხარემ არ შეიტანა სარჩელი უსაფუძვლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, იგი უქმდება ავტომატურად. ასეთი სარჩელის შეტანის შემთხვევაში კი ტრანსფორმირდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად, რომელიც არ საჩივრდება.“

კანონის 201-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 201. მოპასუხის შესაგებელი

1. მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული დოკუმენტებისასლებისგაგზავნისდამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 20 დღეზე ნაკლები. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. პასუხი (შესაგებელი) უნდა აკმაყოფილებდეს ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს.“



კანონის 205-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 205. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა

1. თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ მხარეებმა შეიძლება საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა ან, ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში, მხარეებთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. მოსამართლესთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია ხორციელდება სატელეფონო ხაზზე მხარეების ან მათი წარმომადგენლების ერთდროულად ჩართვით და ფიქსირდება ოქმის სახით. თუ მხარეები კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული არიან სატელეფონო გასაუბრების ან ვიდეოკონფერენციის შესახებ და ვერ ხერხდება ერთ-ერთ მხარესთან ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება, სასამართლო უფლებამოსილია გაესაუბროს მხოლოდ მეორე მხარეს ან მის წარმომადგენელს.

2. მოსამართლე, მოსამზადებელ სხდომაზე, ხელს უწყობს მხარეებს საქმის მორიგებით დასრულებაში. საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო მოსამზადებელი სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მისცეს მხარეებს და მათ წარმომადგენლებს მოლაპარაკების გამართვის შესაძლებლობა.

3. მოსამართლეს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს დავის შეთანხმებით დასრულების შესაძლებლობა საქმის მედიატორისათვის გადაცემის გზით.“

კანონის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 212. სასამართლოში წესრიგის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა

2. სასამართლო აფრთხილებს მხარეებს, რომ თუ ისინი თვითნებურად მიატოვებენ სხდომას, გამოტანილი იქნება გადაწყვეტილება მათ დაუსწრებლად.“

კანონის 217-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 217. საქმის განხილვის დაწყება

1. საქმის არსებითი განხილვის დაწყებისას, სასამართლო



თავდაპირველად მოისმენს მოსარჩელისა და მის მხარეს მონაწილე მესამე პირის შესავალ სიტყვას, ხოლო შემდეგ – მოპასუხისა და მის მხარეს მონაწილე მესამე პირის შესავალ სიტყვას.

2. მოსამართლე მხარეს სიტყვისათვის ან/და საქმის განხილვის თითოეული ეტაპისათვის განუსაზღვრავს გონივრულ დროს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეს განუსაზღვროს დამატებითი დრო, რომელიც არ გამოიწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას.“

კანონის 219-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 219. ახალ გარემოებებზე მითითება

1. მხარეები შეზღუდულნი არიან, მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ, წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ შესახებ, საქმის მომზადების ეტაპზე, საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული.“

კანონის 220-ე და 221-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლის 220. შესავალი სიტყვა

შესავალი სიტყვა არის მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის წარმომადგენლის განმარტება საქმის გარემოების, შესაბამისი მტკიცებულებების და მხარეთა (მესამე პირთა) მოთხოვნის შესახებ.“

„მუხლი 221. მხარეთა დაკითხვა

1. მხარეს, რომელიც არ ეთანხმება მეორე მხარის (მესამე პირის) მიერ წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებას უფლება აქვს იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე ახსნა-განმარტების ავტორის მოწმის სახით დაკითხვასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს და დააკმაყოფილებს მოცემულ შუამდგომლობას, ხოლო მხარე არ გამოცხადდება ჩვენების მისაცემად, აღნიშნულ მხარეზე გადავა შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული ფაქტის მტკიცების ტვირთი.

2. მხარის დაკითხვა წარმოებს 140-ე მუხლით განსაზღვრული წესით.“

კანონის 225-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 225. წარმოდგენილ მტკიცებულებათა განხილვა და შემოწმება

1. მხარეთა დამესამე პირთა შესავალ სიტყვის შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით განიხილოს და შეამოწმოს სადავო მტკიცებულებები. წერილობითი



მტკიცებულების განხილვა და შემოწმება არ გულისხმობს მისი შინაარსის სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებასა და წაკითხვას. მტკიცებულებათა განხილვისა და შემოწმების პროცესში სასამართლო მიმართავს მხარეებს, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები სადავო მტკიცებულების ან მასში მითითებული ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. სასამართლო, ამ კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს და საქმეში წარმოდგენილ იმ დოკუმენტებს, რომლებსაც საქმისათვის არ აქვს მნიშვნელობა.”

კანონის 229-ე, 232¹-ე, 233-ე, 236-ე და 241-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 229. მხარის გამოუცხადებლობა

1. თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე ან მოპასუხე, რომელსაც ჩაბარდა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, გამოცხადებული მხარის შუამდგომლობით, სასამართლოს შეუძლია გადადოს საქმის განხილვა ან გამოიტანოს გადაწყვეტილება გამოცხადებული მხარის დასწრებით, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე.

2. გამოცხადებული მხარის მიერ სასამართლოსათვის დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის შესახებ შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, სასამართლო გადადებს განხილვას და წარმოდგენილ მტკიცებულებებს გაუგზავნის გამოუცხადებელ მხარეს.

კანონის მუხლი 232¹. მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენლობის შედეგები

მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

კანონის მუხლი 233. სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

1. სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ:

ა) მხარეს არ ჩაბარებია სარჩელი და თანდართული დოკუმენტები ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც შეეძლო ხელი



შეეშალა შესაგებლის წარდგენისათვის;

გ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას სასამართლო განუსაზღვრავს მხარეს დამატებით ვადას შესაგებლის წარმოსადგენად, რის შესახებაც ატყობინებს მხარეს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს, ხოლო „გ“ ქვეპუნქტში მითითებული სარჩელის აღძვრის წინაპირობების არარსებობისას სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას 272-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 236. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება

მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია ასეთი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანოს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ.

კანონის 238-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 238. საჩივრის შინაარსი

გ) გარემოებებს, რომლებიც ადასტურებს, რომ მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით;

მუხლი 241. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები
დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.“

კანონს დაემატოს შემდეგი სახელწოდების XXVI¹ თავი :
„თავი XXVI¹. დაჩქარებული გადაწყვეტილება“

კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 243¹ მუხლი:

„243¹. დაჩქარებული გადაწყვეტილება

1. თუ მხარის მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები, ან საქმეში არის ექსპერტის დასკვნა და სასამართლოს მიერ გამოკვლეულია ყველა გარემოება, ხოლო მეორე მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები და შეამდგომლობა პირველი ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია მთავარი სხდომის ჩატარების გარეშე გამოიტანოს დაჩქარებული გადაწყვეტილება მხარის შეამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით.

2. დაჩქარებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია



გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის მითითებული წესით.“

კანონის 262-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 262. გადაწყვეტილების და განჩინების განმარტება

1. გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება ან განჩინება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების /განჩინების/ სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების /განჩინების/ განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება /განჩინება/ შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ განცხადებას სასამართლო განიხილავს შეტანიდან 1 თვის ვადაში. ხოლო განჩინების განმარტების შემთხვევაში 5 დღის ვადაში.

კანონის 364-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 364. სააპელაციო საჩივრის შეტანა

სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა, მესამე პირებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება, კანონით დადგენილ ვადაში, გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.“

კანონის 387-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

მუხლი 387. მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

„1. თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება აპელანტი ან მოპასუხე, რომელსაც ჩაბარდა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, გამოცხადებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვა გადადოს ან გამოცხადებული მხარის თანდასწრებით გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე.“

კანონის 391-ე მუხლის პირველი და მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 391. საკასაციო საჩივრის შეტანა



1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა, მესამე პირებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება, კანონით დადგენილ ვადაში, გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.“
6. სამოქალაქო საქმეებზე საკასაციო საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 6 თვე საკასაციო საჩივრის საკასაციო სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღების დღიდან.“

კანონის 396-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„მუხლი 396. საკასაციო საჩივრის შინაარსი

ვ¹. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის დასაბუთებას;“

კანონის 401-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 401. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

3. ამ კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა. კოლეგია უფლებამოსილია, აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი განხილვის გარეშე. დასაშვებობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, ხოლო უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეზე - 1 (ერთ) თვეს. საჩივრის დასაშვებობაზე უარის თაობაზე სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება, რომელშიც აღინიშნება თუ რატომ არ იქნა გაზიარებული საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები.“

კანონის 419-მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 419. გადაწყვეტილება კერძო საჩივრის თაობაზე

1. კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან 15 დღის ვადაში.“

კანონის 426-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 426. განცხადების შეტანის ვადა

1. განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.“



კანონის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილი ამოღებულ იქნეს

კანონის 427-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 427. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ განცხადების შინაარსი

2. თუ განცხადება არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება. აღნიშნული განჩინება საჩივრდება კერძო საჩივრით.“

◇ გადახდის უნარობის სამართლის რეფორმის ადვოკატირების კამპანია

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში დაასრულა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) მიერ დაფინანსებული პროექტი - „გადახდის უნარობის სამართლის რეფორმის ადვოკატირების კამპანია“. 2016 წლის მაისიდან აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა მისი განხორციელება სიფა-ს გადახდის უნარობის სამართლის ექსპერტების მონაწილეობით. კამპანია მიზნად ისახავდა საქართველოს გადახდის უნარობის სისტემის რეფორმის დაწყების ხელშეწყობის მიზნით კერძო და საჯარო სექტორების მობილიზებას და ჩართულობას კერძო-საჯარო დისკუსიებში, ასევე გადახდის უნარობის სისტემაში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლებას საზოგადოებაში.

პროექტის განმავლობაში ჩატარდა არაერთი კერძო-საჯარო დისკუსია, სამუშაო გასვლითი შეხვედრა, კონფერენცია, საჯარო ლექციები სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის:

განხორციელებული პროექტები/გამოცემები



21-22 მაისს გაიმართა პირველი გასვლითი სამუშაო შეხვედრა სასტუმროში „რიქსოს ბორჯომი“ პროექტის გუნდსა და გადახდისუნარობის სამართლის ექსპერტებს (სიფა-ს წევრი ადვოკატები) შორის. სამუშაო შეხვედრაზე ექსპერტებმა პროექტის ხელმძღვანელთან და პროექტის ექსპერტთან ერთად

იმსჯელეს ადვოკატირების სტრატეგიის დაგეგმვაზე, ასევე შეიმუშავეს პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი ტრენინგების მოდული და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუების ჩატარებისათვის საჭირო კითხვარები. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) ხელმძღვანელი და წარმომადგენლები.

2016 წლის 14 ივნისს, შედგა გადახდისუნარობის სამართლის რეფორმის ადვოკატირების კამპანიის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა. სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა გადახდისუნარობის სისტემის მთავარ პრობლემებსა და ხარვეზებზე, გადახდისუნარობის სამართლის რეფორმის ადვოკატირების კამპანიის სტრატეგიაზე.



2016 წლის 17 ივნისს კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე - „გადახდისუნარობის კანონმდებლობის რეფორმირების საჭიროება და არსებული სისტემის ნაკლოვანებები“. მომხსენებლები იყვნენ სიფას ექსპერტები: ნანა ამისულაშვილი – იურიდიული ფირმა VBAT- ის პარტნიორი (პროექტის ხელმძღვანელი); თამთა ივანიშვილი – იურიდიული ფირმა BLC, უფროსი იურისტი (პროექტის ექსპერტი)



განხორციელებული პროექტები/გამოცემები

2016 წლის 25-26 ივნისს, სასტუმროში „კროუნ პლაზა ბორჯომი“ გაიმართა კერძო/საჯარო დისკუსია გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის საჭიროებასა და არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს დადებით და უარყოფით მხარეებზე. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო, როგორც ქართული გადახდისუუნარობის სისტემის მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირება, ასევე კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების მოსაზრებების გაცვლა.



2016 წლის 14-15 ივლისს, „ტექნო პარკში“ გაიმართა ორ დღიანი კონფერენცია გადახდისუუნარობის სისტემის რეფორმის შესახებ. კონფერენციაზე სიფა-ს გადახდისუუნარობის სამართლის ექსპერტებმა წარმოადგინეს მოხსენებები გადახდისუუნარობის სისტემის პრობლემურ საკითხებზე. კონფერენციას ესწრებოდნენ კერძო და საჯარო სექტორის

წარმომადგენლები, რომელთა ჩართულობითაც შეხვედრა მიმდინარეობდა აქტიური დისკუსიის და აზრთა გაცვლის რეჟიმში.

1 აგვისტოს, სასტუმროში “რუმს ჰოტელ თბილისი” შედგა გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის ადვოკატირების გაფართოებული სამუშაო ჯგუფის შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრის შედეგად კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის მოხდა დაპოზიციების შეჭერება და განხილულ იქნა სახელმწიფო უწყებებისათვის წარსადგენი გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა.



გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია გაიმართა 2016 წლის 9 აგვისტოს, „ტექნო-პარკ

განხორციელებული პროექტები/გამოცემები

საქართველოში“. ღონისძიებას ესწრებოდნენ USAID-ის პროექტ G4G-ის ხელმძღვანელი მაილო სტევანოვიჩი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბატონი მიხეილ სარჯველაძე, ეკონომიკის მინისტრი მოადგილე ბატონი ნიკოლოზ გაგუა, ასევე ბიზნესის, საინვესტიციო ფონდების, სასამართლოს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ღონისძიების პირველ ნაწილში მომხსენებლებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა გადახდისუუნარობის სისტემა და საინვესტიციო გარემო, უზრუნველყოფილი კრედიტორების მონაწილეობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში, არაუზრუნველყოფილი კრედიტორების სტატუსი, სასამართლოს როლი გადახდისუუნარობის პროცესში. მოხსენებები გაკეთდა ინვესტორთა საბჭოს, საქართველოს დისტრიბუტორთა ასოციაციის, საქართველოს ბანკების ასოციაციის და თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენლების მიერ.

სიფა-ს გადახდისუუნარობის ექსპერტებმა წარმოადგინეს პროექტის შედეგად შემუშავებული გადახდისუუნარობის რეფორმის სამოქმედო გეგმა.



გადახდისუნარობის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა შესავალი

გადახდისუნარობის რეფორმის სამოქმედო გეგმა (შემდეგში-სამოქმედო გეგმა) შეიქმნა საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის (შემდეგში-„სიფა“) მიერ განხორციელებული პროექტის „გადახდისუნარობის რეფორმის ადვოკატირების კამპანიის“ (შემდეგში - „კამპანია“) ფარგლებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) მხარდაჭერით. კამპანია მიზნად ისახავდა საქართველოს გადახდისუნარობის სისტემის რეფორმის დაწყების ხელშეწყობის მიზნით კერძო სექტორის მობილიზებასა და ჩართულობას კერძო-საჯარო დისკუსიებში. კამპანია, ასევე მოიცავდა გადახდისუნარობის სისტემაში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლებას.

კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან:

- სს საპარტნიორო ფონდი ;
- საქართველოს დისტრიბუტორთა ასოციაცია ;
- საქართველოს ბიზნეს ასოციაცია (BAG);
- თანაინვესტირების ფონდი;
- ბიზნეს ომბუდსმენის აპარატი ;
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაცია;
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა;
- ინვესტორთა საბჭო;
- საქართველოს ბანკების ასოციაცია ;
- ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა (Amcham);
- მენაშენეთა ასოციაცია;
- საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის გადახდისუნარობის სამართლის ექპერტთა ჯგუფი;

სამუშაო ჯგუფი წარმოადგენს სიფა-ს ბაზაზე არსებულ სადისკუსიო პლატფორმას რეფორმის პროცესში კონკრეტული საკანონმდებლო წინადადების განხილვისთვის.

სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა რეფორმის დაწყებისთვის საჭირო სამოქმედო გეგმა, რომელიც მიმოიხილავს ჯგუფის მიერ კამპანიის განმავლობაში იდენტიფიცირებულ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს და რეკომენდაციებს, ასევე რეფორმის განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელ პრინციპებსა და

მიდგომებს.

კამპანიის ფარგლებში გამოვლენილი პრობლემატური საკითხები
სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე და პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებზე გამოვლინდა გადახდისუნარობის სისტემის შემდეგი ძირითადი ნაკლოვანებები და ჩამოყალიბდა შესაბამისი რეკომენდაციები:

გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნის პროცედურები.
არსებული კანონით გახსნის პროცედურებში აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი:

ა) კრედიტორის მიერ პროცედურის წამოწყებისთვის დაწესებულია მაღალი სტანდარტი, რომელიც ართულებს პროცესის დაწყებას და ამით ამცირებს მოვალის რეაბილიტაციისა და კრედიტორების დაკმაყოფილების შანსს;

რეკომენდაცია: უმჯობესია, პროცედურის წამოწყების სტანდარტი იყოს მარტივი, კრედიტორის ან მოვალისთვის ადვილად ხელმისაწვდომი, ხოლო პარალელურად გათვლილი იქნეს პროცედურების არაკეთილსინდისიერად გამოყენების ყველა შესაძლო ვარიანტი, კანონში გაიწეროს შესაბამისი აღმკვეთი მექანიზმები ან/და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების წესი;

ბ) სახელმწიფოსთვის, როგორც კრედიტორისთვის, დაწესებულია მნიშვნელოვნად დაბალი სტანდარტი, რაც უსამართლოა სხვა კრედიტორების მიმართ;

რეკომენდაცია: ყველა კრედიტორი უნდა იყოს თანაბარი უფლებებით აღჭურვილი;

გ) რეაბილიტაციის ან გაკოტრების დაწყებამდე გასავლელია გარდამავალი ეტაპი, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს პროცესებს, ასუსტებს ბიზნესის მართვას, საფრთხის ქვეშ აყენებს ქონების ღირებულებას. ეს ყველაფერი აისახება კრედიტორების ინტერესებზე და მოვალის რეაბილიტაციის შესაძლებლობებზე.

რეკომენდაცია: გამომდინარე იქედან, რომ გარდამავალი ეტაპი არის შემაფერხებელი გარემოება, საჭიროა რეაბილიტაცია/გაკოტრების პროცედურები ხელმისაწვდომი გახდეს გარდამავალი ეტაპის გარეშე.

არაუზრუნველყოფილი პრედიტორები

ამ მიმართულებით, ასევე რამდენიმე ძირითადი ნაკლოვანებაა იდენტიფიცირებული:

ა) კრედიტორთა რიგითობაში არ არის გათვალისწინებული არაუზრუნველყოფილი პრივილეგირებული მოთხოვნები (შრომითი ურთიერთობიდან, ზიანის მიყენებიდან წარმოშობილი მოთხოვნები);

ბ) სახელმწიფოს არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა (საგადასახადო

განხორციელებული პროექტები/გამოცემები

მოთხოვნა) განთავსებულია მეხუთე რიგში, ხოლო სხვა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები მიეკუთვნება მეექვსე რიგს, რაც ბაღებს უსამართლობის განცდას;

რეკომენდაცია: ყურადღებით უნდა იქნეს გააზრებული არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ტიპები და განისაზღვროს სამართლიანი რიგითობა.

უზრუნველყოფის ინსტიტუტის მოქმედება გადახდისუუნარობის რეჟიმში

კანონის მიხედვით გადახდისუუნარობის რეჟიმში მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო უფლებები (იპოთეკა და გირავნობა) ფაქტობრივად უქმდება, რადგან ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორი, მიუხედავად ნივთზე მათი სანივთო უფლების რიგითობისა, ერთი რიგის შიგნით განლაგდება ჰორიზონტალურად და მოთხოვნის უფლება ვრცელდება მთლიანად სამეურვეო ქონებაზე (როგორც უზრუნველყოფის ნივთებზე, ისე მოვალის სხვა ქონებაზე). საკითხის ასეთი რეგულირება, ერთი მხრივ, განსაკუთრებით აზიანებს ბანკების ინტერესებს, რომლებიც მუდმივად იყენებენ უზრუნველყოფის ინსტიტუტს კლიენტებთან ურთიერთობაში, რამაც გარკვეულ გარემოებებში შესაძლებელია გამოიწვიოს საბანკო პროდუქტების გაძვირება. მეორე მხრივ, ეს რეგულაცია ხელს უშლის ინვესტორსა და ბანკს შორის უზრუნველყოფის საგანზე სუბორდინაციის ხელშეკრულების დადებას, რადგან გადახდისუუნარობის რეჟიმში სუბორდინაციის ხელშეკრულების არსებობა არ მოქმედებს კანონით დადგენილ რიგითობაზე.

რეკომენდაცია: უზრუნველყოფის ინსტიტუტი გადახდისუუნარობის რეჟიმში უნდა მუშაობდეს სამოქალაქო კოდექსის რეგულაციების შესაბამისად, არ უნდა ხდებოდეს გადახდისუუნარობის წარმოების დაწყებამდე წარმოშობილი უფლებების შინაარსის ცვლილება.

სამეურვეო ქონების რეალიზაციის ფორმები

ამ კუთხით ორი პრობლემა იჩენს თავს:

ა) კანონი არ აწესრიგებს მალფუჭებადი, ვადიანი ან სხვა მიზეზით სასწრაფოდ გასაყიდი ქონების გასხვისების წესს;

ბ) სამეურვეო ქონების გაყიდვა შესაძლებელია მხოლოდ იძულებითი აუქციონის წესით, რაც ზოგ შემთხვევაში ამცირებს ამოღებული თანხის ოდენობას და აზიანებს კრედიტორების ინტერესებს.

რეკომენდაცია: სამეურვეო ქონების განკარგვისთვის კანონში შეთავაზებული უნდა იყოს უფრო მრავალფეროვანი არჩევანი. პარალელურად, უზრუნველყოფილ იქნეს არჩევანის უფლების კეთილსინდისიერად გამოყენების მექანიზმები.

სასამართლოს როლი

არსებული კანონით სასამართლოს დაკისრებული აქვს ფორმალური და ბიზნესის უშუალო მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები,

რომლებიც არ შეიცავს დავის გადაწყვეტის ელემენტებს. მაგალითად: კრედიტორთა კრების ორგანიზება და თავმჯდომარეობა, კრედიტორთა მოთხოვნების აღიარება, კრედიტორთა რეესტრის წარმოება, გარიგებების დადების შესახებ მეურვისათვის თანხმობის მიცემა. აღნიშნული მოვალეობები, ერთი მხრივ, ზედმეტი რუტინით ტვირთავს სასამართლოს, ხოლო მეორე მხრივ, იწვევს პროცესების შეფერხებას.

რეკომენდაცია: სასამართლოს ჩამოშორდეს ფორმალური და ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები.

მეურვე

კანონის მიხედვით (ა) გარდამავალ ეტაპზე მეურვედ ინიშნება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოს; და (ბ) სახელმწიფო ორგანო მონაწილეობს ბიზნესის მართვაში, რადგან ნებისმიერი გარიგების დასადაბად სავალდებულოა მისი თანხმობა, ბიზნესის კეთება კი სხვა არაფერია თუ არა გარიგებების დადება. გარიგების დასადაბად საჭიროა კონკრეტული ბიზნესის კარგად ცოდნა და ბიზნესის მენეჯმენტის გამოცდილება, შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიურო, კანონის მიხედვით, წარმოადგენს ბიზნესის მენეჯერს, რაც მისთვის სრულიად არათავსებადი ფუნქციაა.

რეკომენდაცია: ბიზნესის მართვის სადავეების მინდობა უნდა მოხდეს მართვაში გამოცდილი მენეჯერისათვის, ხოლო საჯარო სტრუქტურა შესაძლებელია იყოს გადახდისუუნარობის მმართველების პროფესიის მარეგულირებელი ორგანო.

ქონების ღირებულების შენარჩუნება

ქონების ღირებულების შენარჩუნება არის გადახდისუუნარობის პირველადი ამოცანა, რადგან ქონების გარეშე ვერ მოხდება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან რეაბილიტაციის განხორციელება. კანონში გარდამავალი ეტაპის არსებობა, რა დროსაც ბიზნესს მართავს საჯარო სტრუქტურა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქონების გაუფასურებას. ღირებულებაზე მოქმედებს ასვე სამეურვეო ქონების რეალიზაციის წესი, რადგან ვერ ხერხდება ქონების საბაზრო ფასში გაყიდვა დაჩქარებული პროცედურებისა და თუ სპეციფიკური აქტივის გამო.

რეკომენდაცია: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქონების ღირებულების შენარჩუნებას არსებული რეგულაციების გამოსწორებით ან ახალი მექანიზმების დამატების გზით.

რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების წესი

რეაბილიტაციის გეგმას ამტკიცებენ მხოლოდ უზრუნველყოფილი კრედიტორები 100% ხმებით. ეს რეგულაცია არასამართლიანია სხვა კრედიტორების მიმართ. სწორედ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს უნდა ეხებოდეს რეაბილიტაციის შედეგები, რადგან

განხორციელებული პროექტები/გამოცემები

უზრუნველყოფილ კრედიტორებს აქვთ უზრუნველყოფის საგანი, საიდანაც დაიკმაყოფილებენ მოთხოვნას.

რეკომენდაცია: გეგმის დამტკიცების პრობლემა დაკავშირებულია უზრუნველყოფის ინსტიტუტის პრობლემასთან და უნდა გადაწყდეს ერთგვაროვანი და სამართლიანი მიდგომით. გეგმის დამტკიცების პროცესში არაუზრუნველყოფილი კრედიტორების შემოყვანასთან ერთად უნდა გამყარდეს და დაცულ იქნეს უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებები უზრუნველყოფის ნივთთან მიმართებით, ხოლო დანარჩენი ქონება მოემსახუროს რეაბილიტაციას ან/და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

რეფორმის განხორციელების დროს გასათვალისწინებელი პრინციპები და მიდგომები.

მნიშვნელოვანია, რომ რეფორმის პროცესში გათვალისწინებულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო კომისიის მიერ შემუშავებული სამართლებრივი სახელმძღვანელო გადახდისუუნარობის სისტემის შესახებ (შემდეგში სახელმძღვანელო). სახელმძღვანელოს მიზანია ეფექტური სამართლებრივი რეგულაციების დაწესების ხელშეწყობა მოვალეთა ფინანსურ სიძნელეებთან გამკლავებისათვის. დოკუმენტი გამიზნულია შიდაეროვნული მთავრობებისა და საკანონმდებლო ორგანოებისთვის სარეკომენდაციოდ ახალი კანონებისა და რეგულაციების შექმნისა ან არსებული რეგულაციების შეფასებისას. სახელმძღვანელოში გაწერილი რჩევები მიმართულია მოვალის რეაბილიტაციისა და კრედიტორთა ინტერესების დასაბალანსებლად. სახელმძღვანელო მიმოიხილავს გადახდისუუნარობის ეფექტური კანონის შემუშავებისათვის ცენტრალურ საკითხებს, რომლებიც, განსხვავებული პოლიტიკისა და საკანონმდებლო მიდგომების მიუხედავად, აღიარებულია ბევრ სამართლებრივ სისტემაში.

სახელმძღვანელოს მიხედვით:

ეფექტური გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებების გათვალისწინება:

- ა) სიცხადე ბაზარზე, რათა ხელი შეუწყოს ეკონომიკურ სტაბილურობასა და ზრდას;
- ბ) ქონების ღირებულების ზრდა;
- გ) გაკოტრებასა და რეაბილიტაციას შორის ბალანსის შენარჩუნება;

დ) ერთნაირ პირობებში მყოფი კრედიტორებისათვის თანაბარი უფლებების მინიჭება;

ე) დროული, ეფექტური და მიუკერძოებელი საქმის წარმოების ხელმისაწვდომობა;

ვ) სამეურვეო ქონების დაცვა/შენარჩუნება კრედიტორთა შორის

სამართლიანი განაწილების მიზნით;

ზ) გამჭვირვალე და პროგნოზირებადი კანონის შექმნა, რომელიც შეიცავს წამახალისებელ ფაქტორებს ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელებისათვის;

თ) კრედიტორების უფლებების აღიარება და რიგებში განაწილების გასაგები წესები.

გადახდისუნარობის კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს როგორც რეაბილიტაციის, ასევე გაკოტრების პროცედურებს.

გადახდისუნარობის კანონმდებლობა უნდა აღიარებდეს უფლებებსა და მოთხოვნებს, რომლებიც წარმოიშობა სხვა კანონების საფუძველზე, გარდა განსაკუთრებული, გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებიც გაწერილი იქნება კანონში.

გადახდისუნარობის კანონმდებლობა უნდა იცავდეს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ქმედით და აღსრულებად ხასიათს ისეთივე სახით, რა სახითაც უზრუნველყოფილი მოთხოვნა არის ქმედითი და აღსრულებადი გადახდისუნარობის კანონის ფარგლებს გარეთ;

გადახდისუნარობის კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს თანამედროვე, ჰარმონიზებულ და სამართლიან რეგულაციებს საზღვარგარეთ წარმოებული საქმეებთან მიმართებით. UNCITRAL-ის მოდელური კანონის მიღება არის რეკომენდირებული.

ადვოკატირების კამპანიის დასრულების შემდეგ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია რეფორმის მხარდასაჭერად გეგმავს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას ან განხორციელებისათვის ხელის შეწყობას:

სიფა-ს ექსპერტთა ჯგუფის სამომავლო სამუშაო გეგმის გაწერა და რეფორმაში ჩართულობის უზრუნველყოფა. ექსპერტთა ჯგუფი შეიქმნა სიფას დაფუძნებიდან მალევე და შედგება სიფა-ს წევრი ადვოკატებისაგან. ექსპერტთა ჯგუფმა ხელი შეუწყო ადვოკატირების კამპანიის დაწყებასა და წარმატებით განხორციელებას, რადგან მისი წევრები წარმოადგენენ პროექტის სამუშაო გუნდს და კამპანიაში ჩართულ ექსპერტთა ძირითად ბირთვს. სიფა-ს ექსპერტთა ჯგუფის არსებობა არის გარანტია, რომ კამპანიის შედეგად გააქტიურებული საკითხი მუდმივად ყურადღების ცენტრში იქნება და ამით ხელი შეეწყობა რეფორმის დაწყებას;

სიფა-ს ბაზაზე ადვოკატირების კამპანიის სამუშაო ჯგუფის, როგორც სადისკუსიო პლატფორმის, შეხვედრების მოწყობა რეფორმაში ჩართულობის ხელშესაწყობად. სამუშაო ჯგუფის თითოეული წევრი უზრუნველყოფს საკუთარი ორგანიზაციის/ასოციაციის ჩართულობას პროცესში და შესაბამისი პოზიციის დაფიქსირებას;

რეფორმის დაწყების შემთხვევაში ტრენინგების ციკლის ჩატარების უზრუნველყოფა ბიზნეს სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით.

განხორციელებული პროექტები/გამოცემები

კამპანიის ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი სურათი: ბიზნესმენტა უმეტესობას, რომელსაც არ ჰქონია შეხება გადახდისუუნარობის პროცედურასთან, არ აქვს ინფორმაცია ამ სისტემის არსებობის შესახებ. ინფორმაციის უქონლობა შეიძლება აღმოჩნდეს დამლუპველი, რადგან ბიზნეს გეგმაში არ იქნება გათვალისწინებული გადახდისუუნარობის დადგომის შემთხვევისთვის სამოქმედო სქემა;

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციის დაფუძნება - ამ ეტაპზე დადგა საჭიროება, მოხდეს გადახდისუუნარობის პროცედურების მცოდნე პირების გაერთიანება. სიფა უზრუნველყოფს გადახდისუუნარობის ექსპერტების მობილიზებას გადახდისუუნარობის მმართველის პროფესიის განვითარებისთვის და გადახდისუუნარობის მმართველთა ბაზის შექმნას.

სამუშაო ჯგუფის ხედვა, გადახდისუუნარობის სისტემის რეფორმის შედეგებთან დაკავშირებით.

შედეგი ბიზნესისთვის:

- გადახდისუუნარობის გამარტივებული პროცედურების მიღება, რაც შესაძლოა იქცეს კრიზისის დაძლევის ეფექტურ მექანიზმად;
- ქონების ღირებულების შენარჩუნება/ზრდა და ხარჯების შემცირება;
- განჭვრეტადი და დახვეწილი პროცედურების ფონზე, შესაძლებელი იქნება ბიზნესის განგრძობადობის უზრუნველყოფა და კონკრეტული კლასის კრედიტორების უფლებების დაცვა;
- სიცოცხლისუნარიანი ბიზნესის რეაბილიტაციისთვის ხელშეწყობა, ან აქტივების სწრაფად ჩაბრუნება ეკონომიკაში.

შედეგები სახელმწიფოსთვის:

- საინვესტიციო და ეკონომიკური გარემოს გაჯანსაღება;
- სასამართლო პროცედურების დახვეწა და შეძლებისდაგვარი განტვირთვა;
- ინოვაციებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ;
- წლების მანძილზე გაჩერებული აქტივების ეკონომიკაში ჩაბრუნება;
- დამწყები ბიზნესისთვის ხელის შეწყობა (საოპერაციო აქტივების ხელმისაწვდომობა საბაზროზე დაბალ ფასად);
- მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივისა და სხვა საერთაშორისო რეიტინგებში პოზიციის გაუმჯობესება.

დასკვნა

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია კამპანიის ღონისძიებებსა და სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე განხილული საკითხების მოკლე შეჯამება გადახდისუნარობის სისტემის პრობლემების, რეფორმის აუცილებლობისა და გასათვალისწინებელი პრინციპებისა და რეკომენდაციების შესახებ. ცხადია, რეფორმის პროცესის დაწყების პირობებში სამუშაო ჯგუფი მზად იქნება ჩამოაყალიბოს დეტალური ხედვები და საზოგადოებას გააცნოს მისთვის მისაღები კონკრეტული რეგულაციები ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით.

◇ მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის უზრუნველყოფის ღონისძიებების მონიტორინგი სისხლის სამართლის პროცესში

მიმდინარე წლის ივნისის თვეში საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაციამ წარმატებით დაასრულა ფონდ „ლია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული მორიგი პროექტი - „მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის უზრუნველყოფის ღონისძიებების მონიტორინგი სისხლის სამართლის პროცესში“. აღნიშნული პროექტი წარმოადგენს სიფა-ს მიერ 2014-2015 წლებში ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა შეჭიბრებითობის უზრუნველყოფისათვის“ ლოგიკურ გაგრძელებას, ვინაიდან მის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად საქართველოს კანონმდებლობაში ან/და სასამართლო პრაქტიკაში არსებულ სხვა ხარვეზებთან ერთად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ხარვეზები დაცვის მხარის საგამოძიებო უფლებამოსილების საკანონმდებლო რეგულირებაში. მნიშვნელოვანი ფაქტორი პროექტის იდენტიფიკაციისთვის კვლევის ჩატარებისთვის გახლდათ ისიც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) ამოქმედებიდან არ განხორციელებულა სასამართლო პრაქტიკის კვლევა იმისა, თუ როგორ ხორციელდება დაცვის მხარის საგამოძიებო უფლებამოსილება და რა შესაძლებლობები არსებობს ამ თვალსაზრისით ხარვეზების გამოსასწორებლად; როგორ აისახება საკანონმდებლო ხარვეზები დაცვის მხარის საგამოძიებო უფლებამოსილებაზე და როგორ ახერხებს დაცვის მხარე არაეფექტიანი საკანონმდებლო რეგულირების პირობებში მოიპოვოს მტკიცებულება.

პროექტის ფარგლებში მომზადებული კვლევა წარმოადგენს მცდელობას შეფასდეს, როგორც დაცვის მხარის შესაძლებლობები მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით, ასევე საერთო სასამართლოების როლი ამ პროცესში, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი სხვა სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე. გამოვლენილი ხარვეზების დასაძლევად შემუშავდა რეკომენდაციები როგორც სასამართლო ხელისუფლებისა და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს, ისე ადვოკატთა კორპუსის მიმართ. რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის პროცესში დაცვის მხარის საგამოძიებო უფლებამოსილების გაძლიერებასა და მხარეებისთვის მტკიცებულებათა მოპოვების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება მართლმსაჯულების განვითარებაზე.

კვლევა მომზადებულ იქნა იურიდიული ფირმების ასოციაციის სისხლის სამართლის ჯგუფის ადვოკატების დავით კვაჭანტირაძის (პროექტის ხელმძღვანელი) და დავით აბესაძის (პროექტის იურისტი) მიერ. კვლევისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებაში და საკითხების დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს სიფა-ს აღმასრულებელმა დირექტორმა თინათინ შულაროვამ, დირექტორის ასისტენტმა თამთა სებისკვერაძემ, სიფას სისხლის სამართლის ჯგუფის წევრებმა აკაკი ჩარგეიშვილმა, ალექსანდრე ნოსელიძემ, გიორგი საძაგლიშვილმა, ნანა გოჩელაშვილმა, ემზარ პაქსაძემ. კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით:

რეკომენდაცია საკანონმდებლო ორგანოს:

►სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის ჩანაწერი, რომლის თანახმად ბრალდების მხარეს აქვს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება, საფრთხეს წარმოადგენს დაცვის უფლების ეფექტიანი განხორციელებისთვის. პრობლემა ის არის, რომ შესაძლებელია პრაქტიკაში შეიქმნას ვითარება, როდესაც დაცვის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებას გამოკვლევის შემდეგ გამოიყენებს ბრალდების მხარე, რაც დაუშვებელია და აზიანებს დაცვის უფლების საფუძვლებს და არსს. ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება ეს ჩანაწერი შეიცვალოს და ბრალდების მხარე არ იყოს აღჭურვილი დაცვის მხარის შუამდგომლობით მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლებით.

►სსსკ-ის 136-138-ე მუხლების თანხმად, მხოლოდ პროკურატურაა უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობით. სასამართლო პრაქტიკაში მკვიდრდება სსსკ-ის 136-ე მუხლის ფართო ინტერპრეტაცია და დასახელებულ მუხლში მოიაზრება ნებისმიერი ინფორმაცია, რაც შეძლება ინახებოდეს კომპიუტერულ საშუალებაში. ასეთი რეგულირება და მის საფუძველზე განვითარებული სასამართლო პრაქტიკა, დაცვის მხარეს უსპობს შესაძლებლობას მოიპოვოს ნებისმიერი ისეთი მტკიცებულება, რაც კომპიუტერულ სისტემაში ინახება. შედეგად, სახეზეა მნიშვნელოვანი დისბალანსი ბრალდების მხარის სასარგებლოდ. მიზანშეწონილია, შევიდეს ცვლილება სსსკ-ის 136-ე პირველი ნაწილში და ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს, რომ 136-ე მუხლით გათვალისწინებული გამოთხოვა გამოიყენება მხოლოდ კომპიუტერული სისტემის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების პროცესში.

►სსსკ-ში მხარეთა მიერ მტკიცებულების მოპოვებას გამოთხოვის მეშვეობით ეხება რამდენიმე ზოგადი მუხლი. კვლევამ გამოავლინა,

განხორციელებული პროექტები/გამოცემები

რომ სსსკ-ში მხოლოდ ზოგადი ნორმების არსებობა, სპეციალური ნორმებით დადგენილი გამოთხოვის დეტალური წესების (მსგავსად საგამოძიებო მოქმედებებისა) გარეშე აფერხებს დაცვის მხარისთვის სასამართლოების მიერ მტკიცებულებათა გამოთხოვაში დახმარებას და განაპირობებს არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას. ამდენად, მიზანშეწონილი იქნება სსსკ-ში განისაზღვროს მტკიცებულების გამოთხოვის მეტად დეტალური და სპეციალური პროცესუალური წესები.

რეკომენდაცია სასამართლოს:

►სასურველი იქნება თუ მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ შუამდგომლობათა განხილვის მნიშვნელოვან საკითხებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა დამკვიდრდება.

►არაერთგვაროვანია სასამართლო პრაქტიკა დაცვის მხარისთვის საპროცესო მოქმედების - ინფორმაციის გამოთხოვის ნებართვის მიცემის საკითხზე, რაც, ვფიქრობთ, უნდა შეიცვალოს და აღიარებულ იქნას მხარეთა შესაძლებლობა კერძო ან სახელმწიფო ორგანიზაციიდან სასამართლოს დახმარებით მიიღოს ინფორმაცია საკუთრივ გამოთხოვის გზით და არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების საშუალებით;

►დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში სასამართლოებისთვის მიმართვის საკითხებზე საჩივრების განხილვის სტატისტიკას არ აწარმოებს თბილისის სააპელაციო სასამართლო. სასურველია, რომ სააპელაციო სასამართლომ აწარმოოს ასეთი სტატისტიკა. ეს მნიშვნელოვანია კვლევითი საქმიანობის პროცესში, სააპელაციო სასამართლოდან ინფორმაციის ეფექტიანი გამოთხოვის მიზნებისთვის.

რეკომენდაცია დაცვის მხარეს:

სასამართლო პრაქტიკის კვლევის შედეგად გამოვლინდა ის საკითხები, რაც, სასამართლოების აზრით, მითითებული უნდა იყოს შუამდგომლობაში. საუბარია, შუამდგომლობათა დასაბუთების ერთგვარ „მინიმალურ სტანდარტებზე“, რაც ნებისმიერი სახის შუამდგომლობაში უნდა იყოს დაკმაყოფილებული. კერძოდ, დაცვის მხარემ შუამდგომლობაში ან შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოს უნდა წარუდგინოს:

► მითითება, რა გარემოების გარკვევას შეუწყობს ხელს მოთხოვნილი ინფორმაცია/ მტკიცებულება;

► დასაბუთება, რომ მოსაპოვებელი ინფორმაცია/მტკიცებულება კავშირშია სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან. დასაბუთება უნდა იყოს კონკრეტული და არ არის საკმარისი მხოლოდ ზოგადი

განხორციელებული პროექტები/გამოცემები

მითითება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე;

► ინფორმაცია, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი/ინფორმაცია მართლაც იქ არის დაცული, სადაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაა მოთხოვნილი;

► მტკიცებულება, რომ სასამართლოში მიმართვამდე დაცვის მხარემ მიმართა იმ დაწესებულებას, სადაც სურს სასამართლოს მეშვეობით საგამოძიებო მოქმედების ჩატარება;

► ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შუამდგომლობა შეტანილია ადვოკატის მიერ;

► შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს მისი განხილვისთვის საკმარისი მტკიცებულებები/საქმის მასალები, მათ შორის წარდგენილ უნდა იქნას მასალა, რაც სასამართლოს შეუქმნის წარმოდგენას ბრალდებულის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გარემოებებზე, მათ შორის, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ინფორმაციაზე და ბრალდების ფორმულირებაზე;

► შუამდგომლობაში დაცვის მხარის მოთხოვნა უნდა იყოს ჩამოყალიბებული მკაფიოდ და ალტერნატიული მოთხოვნების გარეშე. განსაკუთრებით ეს ეხება ჩხრეკა-ამოღებას;

► შუამდგომლობაში არ უნდა იყოს რამდენიმე მოთხოვნა დაყენებული;

► ამოღების ჩატარების შესახებ ნებართვის გაცემაზე მსჯელობისას, სასამართლოები, შუამდგომლობის განხილვისათვის არსებითი მნიშვნელობის საკითხად მიიჩნევენ მითითებას, რომ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და ადვოკატის მიერ მითითებული ინფორმაციის დამატებითი ძებნა საჭირო არ არის.

► დათვალიერების კონკრეტული ობიექტის მითითებასთან ერთად აუცილებელია ამ ობიექტის მფლობელის პოზიციის წარდგენაც.

► სასამართლოები, დაცვის მხარის შუამდგომლობათა შეფასებისას, უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ მის შინაარსს და არა მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების შუამდგომლობაში აღნიშნულ დასახელებას. ადვოკატებმა შინაარსის შესაბამისად უნდა დაასათაურონ მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედება.

► თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილ საჩივარში უნდა აღინიშნოს, რა არსებითი საკითხები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ. დამატებითი პრაქტიკული რეკომენდაცია ადვოკატებს:

► ხარვეზის გამოშუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის მიღების შემდეგ შესაძლებელია ხელახალი მიმართვა სასამართლოსთვის ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში. ასევე, შესაძლებელია მიემართოს სასამართლოს სხვა საგამოძიებო მოქმედების მოთხოვნით.

მიმდინარე პროექტები

პროექტის დასასრულს ჩატარებული კვლევა გამოიცა პუბლიკაციის სახით სახელწოდებით „ დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით - 2014-2015 წწ. მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები“. სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსიის ჩამოტვირთვა შესაძლებელია სიფა-ს ოფიციალური ვებ-გვერდიდან: www.alfg.ge

◆ სამოქალაქო სამართლის ტრენინგების ციკლი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის



2016 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია ატარებს ტრენინგებს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის სამოქალაქო სამართლის მიმართულებით. ტრენინგები ტარდება გაეროს პროგრამის „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება

საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტრენინგებს უძღვებიან სიფა-ს სამოქალაქო სამართლის ექსპერტები, ხოლო გეოგრაფიული დაფარვის არეალი მოიცავს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს. ტრენინგების თემები შერჩეულ იქნა იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად. კვლევისას ადვოკატების გამოკითხვამ აჩვენა, რომ იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები გაფართოებული მანდატის ფარგლებში პროფესიული ცოდნის ამაღლებას საჭიროებენ სამოქალაქო სამართლის შემდეგ დარგებში: საოჯახო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, სამემკვიდრეო



სამართალი, საგადასახადო სამართალი, სამეწარმეო სამართალი, სამოქალაქო საპროცესო წარმოება პირველ ინსტანციაში. მიმდინარე პერიოდისთვის ტრენინგები ჩატარდა საოჯახო, სამემკვიდრეო სამართალში და საგადასახადო სამართალში როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის. 6-7 აგვისტოს, 9-10 სექტემბერს და 12-18 ნოემბერს ტრენინგები ჩატარდა საოჯახო, სამემკვიდრეო და საგადასახადო სამართალში ქ. თბილისში, ხოლო 23-24 სექტემბერს, 28-29 ოქტომბერს და 3 დეკემბერს ქ. ქუთაისში. სიფა განაგრძობს ტრენინგების ციკლს მომდევნო ხუთი თვის განმავლობაში სამეწარმეო, ვალდებულებით და სამოქალაქო საპროცესო სამართალში.

◆ „იურიდიული დახმარებისა და სტრატეგიული სამართალ-წარმოების სერვისები ქვემო ქართლში“

2016 წლის იანვრიდან სიფა, პრო ბონო საქმიანობის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“-სთან (სიდა) ერთად ახორციელებს პროექტს - „იურიდიული დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების სერვისები ქვემო ქართლში“. პროექტის მიზანია ქალებისა და ეთნიკურ უმცირესობებში ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების კუთხით, ეთნიკური და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენა, დაზარალებულთათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა და სასამართლოში ადვოკატირება. პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით და გრძელდება 1 წელი.

◆ „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა შეჭიბრებითობის უზრუნველყოფისთვის რეკომენდაციების შემუშავება“

მიმდინარე წლის ნოემბერში საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ დაიწყო ფონდ „ლია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსებული ახალი პროექტის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა შეჭიბრებითობის უზრუნველყოფისთვის რეკომენდაციების შემუშავება“ განხორციელება. პროექტის მიზანია ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად მოხდეს სახელმწიფოს სახელით მოქმედი პირების მხრიდან დანაშაულის პროვოცირების/წაქეზების პრევენცია. პროექტის პირველ ეტაპზე განხორციელდება შედარებითი ანალიზი - როგორია საერთო სასამართლოების მიდგომა წაქეზების საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებებთან და სტანდარტებთან მიმართებით. კვლევის შედეგების საფუძველზე



მოხდება ქართული კანონმდებლობის გაანალიზება ფარული ოპერატიული საქმიანობის სახელმწიფო კონტროლისა და ანგარიშგების ეფექტიანი სისტემის შესახებ რეკომენდაციების/საკანონმდებლო პაკეტის მომზადების მიზნით, ასევე შემუშავდება რეკომენდაციები სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის პროვოცირების/წაქეზების განცხადების ეფექტიანი გადამოწმებისა და შეფასებისათვის.

ერეკლე II-ის მიერ ტფილისელი ვაჭრის აშბროსიანთ დავითის მე
ოპანეზასათვის მიცემული აზნაურობის და გერბის დამტკიცების სიგელი
1785, 15 ივლისი

ხეც, Hd - 1543

ხაოიანი, თეთრი ფერის ეტრაცო: 95 ს 40,45 სმ; ტექსტის დასაწყისი
- „ქ“ გრადემა და პირველი ორი სტრიქონი ნაწერია ოქროსფერი
(ლია ყავისფერი), შემდეგ კი შავი მელნით, კალიგრაფიული, ლამაზი
მხედრულით.

ტექსტი ზის სტილიზებული ყვავილებით შექმნილი ფერადი დეკორით
გაფორმებულ ორმაგ ხაჩიოში. თავსართის ცენტრში, ოვალურ
ხაჩიოში, ბაგრატიონთა საგვარეულო გერბია, თავზე გვირგვინით და
ანგელოზებით (ამურებით). ქვედა ხაჩიოს არეზე ორნამენტირებულ
ხაჩიოში ჩანს მულოა აშბროსიანთა საგვარეულო გერბი - ვერცხლისფერ
ფონზე წარმოდგენილი, ლოდზე ცალ ფეხზე მდგომი არწივი, აზნაურობის
ბოძების სამეფო ნიშნით და ნაყოფიანი ზეთისხილის რტოთი. გერბი
ასევე გაფორმებულია ფინიკის და დაფნის რტოს მოტივებით, რომელსაც
სიმბოლური დატვირთვა ენიჭება. ტექსტს ხელმოწერით ამტკიცებს მეფე
ერეკლე II; საბუთს შექმნილი აქვს ლია წითელი ლუქის სახელმწიფო
ბეჭედი.



რეგულარული შემოსავლის მქონე ფიზიკური პირის ვალების
კორექტირება გადახდისუნარობის საქმის წარმოებაში

ნანა ამისულაშვილი, იურიდიული კომპანია "VBAT"-ის პარტნიორი

შესავალი

მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს ფიზიკური პირის გადახდისუნარობის პროცედურებს. გადახდისუნარობის პროცედურები ფიზიკური პირისათვის შესაძლებელია იყოს სხვადასხვა ტიპის, განსხვავებულ წინაპირობებზე დაფუძნებული და განსხვავებულ შედეგზე ორიენტირებული. მათ შორის წარმოების საინტერესო სახეა რეგულარული შემოსავლის მქონე პირების ვალების კორექტირება, რა დროსაც ფიზიკური პირი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად იხდის ვალებს, ხოლო წარმოების დასასრულს სასამართლოს გადაწყვეტილებით თავისუფლდება დარჩენილი ვალდებულებებისგან.

აღნიშნულ საკითხს დეტალურად აწესრიგებს ამერიკის შეერთებული შტატების კოდექსის მე-11 ნაწილის (გაკოტრება¹) მე-13 თავი² - რეგულარული შემოსავლის მქონე პირის ვალების კორექტირება.³ ასეთ რეგულაციებს ქართული კანონმდებლობა არ იცნობს, მხოლოდ ინდივიდუალური მეწარმე შეიძლება იყოს კანონის სუბიექტი, კერძოდ, კი კანონი გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ, საერთოდ არ ითვალისწინებს ფიზიკური პირის გადახდისუნარობას, მათ შორის არც რეგულარული შემოსავლების მქონე პირის ვალების კორექტირებას, თუმცა მოვალე შეიძლება იყოს ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც მიახლოებულია მე-13 თავის მოვალესთან.

ვალების კორექტირების და მისგან გათავისუფლების ძირითადი პროცედურები

მე-13 თავს ხელფასიანი პირების გეგმასაც უწოდებენ, რადგან მის ამოქმედებამდე არსებული გაკოტრების აქტის XIII თავი ეხებოდა მხოლოდ ხელფასის მქონე პირებს.⁴ ამჟამად მე-13 თავი ფიზიკურ პირ მოვალეთა უფრო ფართო სპექტრს მოიცავს.

¹ საქართველოს კანონმდებლობით ტერმინი „გადახდისუნარობა“ და ამერიკის შეერთებულ შტატების კოდექსის ტერმინი „გაკოტრება“.

² შემდეგში ყველგან „მე-13 თავი“.

³ Adjustment of debts of an individual with regular income.

⁴ Butler, Morrellis, Proceedings for the adjustment of debts of individuals with regular income under the Bankruptcy Reform Act of 1878, 28 Emory Law Journal (1979), p. 760.



შეერთებულ შტატებში ამ ტიპის წარმოების პრაქტიკა უკვე დიდი ხანია რაც დამკვიდრებულია. მე-13 თავი ძალაშია 1978 წლიდან, თუმცა მანამდე იგივე სფეროს არეგულირებდა 1938 წლის გაკოტრების აქტის XIII თავი. 1978 წელს განხორციელდა გაკოტრების რეფორმა, რა დროსაც ათწლეულების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით დაიხვეწა რეგულარული შემოსავლის მქონე პირის ვალების კორექტირების რეგულაციები.

„რეგულარული შემოსავლის მქონე ფიზიკური პირი“ განიმარტება როგორც პირი, რომლის შემოსავალი არის საკმარისად სტაბილური და რეგულარული, რათა უზრუნველყოს გადახდები მე-13 თავის საფუძველზე დამტკიცებული გეგმის მიხედვით, გარდა საფონდო და სასაქონლო ბროკერებისა.⁵ ამ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებულ სენატის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ განმარტება მიმართულია იმისაკენ, რომ არსებითად განაგრძოს ფიზიკურ პირთა ჩამონათვალი, რომელთაც შეუძლია მე-13 თავით სარგებლობა. ამგვარად პირებს, რომლებიც იღებენ სოციალურ დახმარებას, ფიქსირებულ პენსიას, საინვესტიციო შემოსავლებს, ეძლევათ საშუალება კრედიტორებთან ერთად შეიმუშაონ გადახდის გეგმა. მე-13 თავით შეუძლიათ ისარგებლონ, ასევე, თვითდასაქმებულ ფიზიკურ პირებსაც, თუ მათ აქვთ რეგულარული შემოსავალი.⁶ კოდექსი, ასევე, უშვებს მეუღლეების მიერ ერთობლივი პროცედურის დაწყებას.⁷

რეგულარული შემოსავლის მქონე ფიზიკური პირების ვალების კორექტირება მოვალის მიერ წამოწყებული ნებაყოფლობითი წარმოებაა. იგი იწყება მოვალის განცხადების საფუძველზე. სასამართლო განიხილავს მოვალის განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას პროცედურის დაწყებაზე, რაზედაც გამოსცემს ბრძანებას. წარმოების განმავლობაში მოვალე ფლობს თავის ქონებას სრულად, სანამ გეგმით ან გეგმის დამტკიცების ბრძანებით სხვა რამ არ იქნება დადგენილი.⁸ მოვალე, რომელიც ბიზნესშია ჩართული, განაგრძობს ბიზნესის მართვას, სანამ მეურვის მხრიდან არ იქნება ამაზე შეზღუდვა.⁹

ვალების გადახდის განაწილება ხდება 3-იდან 5 წელზე, რაც დამოკიდებულია მოვალის შემოსავლებზე. თუ მოვალის მიმდინარე თვიური შემოსავალი ნაკლებია დადგენილ საშუალო ოდენობაზე, დგება სამწლიანი გეგმა. ხოლო თუ შემოსავალი მეტია დადგენილ საშუალო ოდენობაზე, მაშინ, როგორც წესი, ხუთწლიანი გეგმა მტკიცდება. გეგმა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს ხუთ წელზე

⁵ 11 U.S.C. § 101 (30). <http://uscode.house.gov/download/download.shtml> [25.11.2016].

⁶ 11 U.S.C. § 101 (30), Senate Report No. 95-989.

⁷ 11 U.S.C. § 302 (a).

⁸ 11 U.S.C. § 1306 (b).

⁹ 11 U.S.C. § 1304(a).



მეტი.¹⁰ წარმოების დასასრულს სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება მოვალის გათავისუფლება გარკვეული კატეგორიის დარჩენილი ვალებისგან.

მე-13 თავის მიზანია ხელი შეუწყოს მოვალეს, რათა იგი არ გახდეს იძულებული თავიდანვე გაკოტრებაზე წავიდეს.¹¹ პროცედურა მიმართულია ფიზიკური პირებისათვის საცხოვრებელი და საარსებო ქონების შენარჩუნებისაკენ. ფიზიკურ პირს ეძლევა შანსი, დაიწყოს ცხოვრება ახლიდან, რადგან მოქალაქეთა რეაბილიტაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური თუ სოციალური თვალსაზრისით.

ქართული კანონი უშვებს ინდივიდუალური მენარმეების გადახდისუნარობის საქმის წარმოებას¹², რაც ახლოს დგას მე-13 თავით გათვალისწინებულ ბიზნესში ჩართულ თვითდასაქმებულ ფიზიკურ პირთან. თუმცა, პროცედურები იგივეა, რაც იურიდიული პირებისათვის და არ ითვალისწინებს სასამართლოს გადაწყვეტილებით წარჩენი ვალებისგან გათავისუფლებას.

კეთილსინდისიერება ვალების კორექტირების წარმოებაში

მოვალის ვალებისგან გათავისუფლების შესაძლებლობის დაშვება კანონმდებლობაში შეიძლება საშიში აღმოჩნდეს საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის. არსებობს იმის რისკი, რომ ზოგიერთი ფიზიკური პირი ბოროტად ისარგებლებს ამ მექანიზმით და თავს აარიდებს ვალდებულებების შესრულებას. ჩნდება კითხვა, ხომ არ შეიძლება ასეთი ტიპის წარმოება იყოს მოტივაცია პირისათვის გარიგების დადებისას წინასწარ მიიღოს გადაწყვეტილება ვალდებულების შეუსრულებლობაზე? აღნიშნული საფრთხის თავიდან ასაცილებლად პროცედურა არ უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და უნდა ითვალისწინებდეს კომპლექსურ წინაპირობებს.

მე-13 თავი წარმოების დასაწყებად გარკვეულ წინაპირობებს უყენებს მოვალეს. მათ შორის უმთავრესია კეთილსინდისიერების მოთხოვნა. კანონი უშვებს „ახალი საწყისის“ შესაძლებლობას მხოლოდ „პატიოსანი თუმცა უიღბლო მოვალეებისთვის“ (honest but unfortunate debtor)¹³. „პატიოსანი, თუმცა უიღბლო მოვალის“ გამოსავლენად გაკოტრების კოდექსში არსებობს კეთილსინდისიერების ტესტი. მოვალე წარმოების დაწყებისას ან მას შემდეგ წარადგენს ვალების დაფარვის გეგმას. მოვალის მიერ წარდგენილი გეგმის დამტკიცების

¹⁰ 11 U.S.C. §1322(d).

¹¹ იგულისხმება გაკოტრება აშშ-ის კოდექსის მე-11 ნაწილის მე-7 თავის მიხედვით, როცა ხდება მოვალის მთლიანი ქონების რეალიზაცია და კრედიტორებს შორის განაწილება

¹² საქართველოს კანონი გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 2 (2)(ა).

¹³ Grogan v. Garner (89-1149), 498 U.S. 279 (1991). ob. <<http://www.law.cornell.edu/supct/html/89-1149.ZO.html>> [25.11.2016].



ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობა მე-11¹⁴, მე-12¹⁵ და მე-13¹⁶ თავების მიხედვით არის გეგმის შემუშავება კეთილსინდისიერად და არა რომელიმე კანონით აკრძალული მეთოდით.

თანამედროვე სამართლებრივი წესრიგისთვის დამახასიათებელია კეთილსინდისიერების პრინციპის აღიარება. ამ პრინციპით კონკრეტდება ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ფარგლები. კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს. იგი ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა. პირი ცალკეულ შემთხვევაში „კეთილსინდისიერად“ მიჭნავს სამართლიანს უსამართლოსგან და თავის ქცევას სამართლიანობის კრიტერიუმს შეუსაბამებს.¹⁷

მე-13 თავის ჭრილში კეთილსინდისიერება შესაძლებელია ძირითადად დაკავშირებული იყოს მოვალის მიერ ინფორმაციის წარდგენასთან. გეგმა უნდა შეიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას მოვალის შემოსავლების იმ ნაწილის შესახებ, რისი მიქცევაც შესაძლებელია გეგმის მიხედვით ვალების დაფარვაზე.¹⁸ ასეთ შემოსავალს მე-13 თავის მიხედვით განეკუთვნება შემოსავალი, რომელიც რჩება ყველა სავალდებულო გადასახადის¹⁹ დაფარვის შემდეგ.²⁰ ამ ინფორმაციის სიზუსტე დაკავშირებულია კრედიტორთა მისაღები თანხების მოცულობასა და გეგმის ვადასთან. გარდა ამისა, მოვალე წარადგენს მისი ქონების სრულ აღწერას და შეფასებას. ქონების ღირებულება შესაძლებელია გახდეს არგუმენტი კრედიტორთა მოთხოვნების ფარგლების დადგენისას.²¹

სწორედ ინფორმაციის არასწორად წარდგენა გახდა განმცხადებლისათვის უარის თქმის საფუძველი ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში - მარამა მასაჩუსეტსის მოქალაქეთა ბანკის წინააღმდეგ. განმცხადებელი რობერტ ლუის მარამა ითხოვდა მისი ინიციატივით მე-7 თავის²² საფუძველზე დაწყებული გაკოტრების საქმის გარდაქმნას ვალების კორექტირების

¹⁴ მე-11 თავი ეხება ბიზნესის რეორგანიზაციას.

¹⁵ მე-12 თავი ეხება რეგულარული წლიური შემოსავლის მქონე საოჯახო ფერმებისა და მეთევზეობის ვალების კორექტირებას.

¹⁶ 11 U.S.C. §1129 (a) (3); 11 U.S.C. §1225 (a) (3); 11 U.S.C. §1325 (a) (3).

¹⁷ კერძო კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 83, თბილისი (ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა), 2009 წ.

¹⁸ 11 U.S.C. §1322 (a) (1).

¹⁹ გადასახადებში იგულისხმება არა მარტო სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებები, არამედ კერძო პირების წინაშე არსებული ისეთი ვალდებულებები, როგორიცაა ალიმენტი, უნარშეზღუდული პირების დახმარება.

²⁰ 11 U.S.C. §1325 (b) (2).

²¹ 11 U.S.C. §1325(b)(1)(A).

²² იგულისხმება გაკოტრება აშშ-ის კოდექსის მე-11 ნაწილის მე-7 თავის მიხედვით, როცა ხდება მოვალის მთლიანი ქონების რეალიზაცია და კრედიტორებს შორის განაწილება.



წარმოებად მე-13 თავის მიხედვით. ასეთი გარდაქმნა დასაშვებია აშშ-ის კოდექსის 706-ე პარაგრაფით. საქმეში ირკვეოდა, რომ მარამამ მე-7 თავის მიხედვით დაწყებული წარმოებისას ქონების შესახებ არასწორი ინფორმაცია წარადგინა, რითაც შეეცადა ქონების თაღლითურად დამალვას. მარამას არგუმენტით თავების გარდაქმნის უფლება იყო აბსოლუტური უფლება და არ შეიძლებოდა გარდაქმნაზე უარის თქმა იმ საფუძვლებით, რაც განიხილება საქმის თავდაპირველად წარმოებაში მიღების დროს (იგულისხმება კეთილსინდისიერება, როგორც წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველი). საბოლოოდ უზენაესი სასამართლო დაეყრდნო აშშ-ის კოდექსის 1307-ე პარაგრაფის რეგულაციას, რომლის მიხედვითაც მოვალის მიერ გეგმის არაკეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში წარმოება წყდება ან გარდაიქმნება მე-7 თავის წარმოებად და დაადგინა, რომ მარამას მიერ განხორციელებული არაკეთილსინდისიერი ქცევა იყო მე-13 თავის მიხედვით გათვალისწინებული შეუსრულებლობის ტოლფასი (გეგმის არაკეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში წარმოება წყდება ან გარდაიქმნება მე-7 თავის წარმოებად).²³ ამიტომაც მარამა არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო მოვალედ მე-13 თავის საფუძველზე. სხვა სიტყვებით, მარამა არ იყო „პატიოსანი თუმცა უიღბლო მოვალეთა“ კლასის წარმომადგენელი.²⁴

აშშ-ის კოდექსიდან და სასამართლო პრაქტიკიდან ცხადი ხდება, რამდენად მნიშვნელოვანია მოვალის კეთილსინდისიერება, მისი დამოკიდებულება წარმოებისადმი, მისი განზრახვა ვალდებულებების შესაძლებლობის ფარგლებში სრულად შესრულებაზე, მისი მზაობა თანამშრომლობისთვის და ინფორმაციის სრულად წარდგენისათვის. ეს გარემოებები ერთობლიობაში განიხილება მოვალის კეთილსინდისიერების შესაფასებლად.

საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მოვალის კეთილსინდისიერების შემოწმებას საქმის წარმოებაში მიღებისას. კანონის 24-ე მუხლი მოვალეს ავალებს წარუდგინოს მეურვეს ინფორმაცია ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შესახებ და იმ დროისათვის სასამართლოში მიმდინარე დავების თაობაზე.²⁵ თუმცა, ეს ხდება საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ და საქმის დასაშვებობაზე ზეგავლენას არ ახდენს. აღნიშნული მიდგომა ცალსახად შესაძლებელია, რათა უკეთ მოხდეს კრედიტორთა უფლებების დაცვა. ზოგ შემთხვევაში შეიძლება მოვალემ გამოიყენოს

²³ 11 U.S.C. §1307.

²⁴ Marrama v. Citizens Bank of Mass., No. 05-996, 2007. ob. <<http://www.law.cornell.edu/supct/html/05-996.ZO.html>> [25.11.2016].

²⁵ ob. <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=23572&lang=ge> [25.11.2016].



გადახდისუნარობის რეჟიმი კონკრეტული კრედიტორის მიერ დაწყებული იძულებითი აღსრულების აღსაკვეთად ან ძირითად ვალდებულებებზე სარგებლის/პირგასამტეხლოს დარიცხვის შეჩერების მიზნით. ეს დააზარალებს კრედიტორებს. მითუმეტეს, რომ გადახდისუნარობის პროცედურა, როგორც წესი, საბოლოოდ ითვალისწინებს გარკვეული ვალების გაქარწყლებას. სასამართლოს მიერ მოვალის კეთილსინდისიერების დადგენა უნდა იყოს ძირითადი მექანიზმი, რომელიც დაიცავს კრედიტორს და სახელმწიფოს მოვალისათვის ვალების ჩამოწერის პროცესში.

ვალებისგან გათავისუფლების ფარგლები და მიზანშეწონილობა

მე-13 თავის მიხედვით დამტკიცებული გეგმის შესრულების შემდეგ სასამართლოს მიერ ხდება მოვალის გათავისუფლება გარკვეული სახის დარჩენილი ვალებისგან. ამ შემთხვევაში არ უნდა გაჩნდეს იმის შესაძლებლობა, რომ პროცესით დაზარალებულმა კრედიტორებმა კრედიტორთა ინტერესების დასაცავად მე-13 თავი ვალებისგან გათავისუფლების დეტალურ რეგულაციას იძლევა, გარკვეული კატეგორიის ვალები კი საერთოდ არ ექვემდებარება ჩამოწერას.

გეგმაში სავალდებულოა კრედიტორთა სრულად დაკმაყოფილების გრაფიკის წარდგენა. მაგრამ ეს არ არის იმპერატიული მოთხოვნა: თუ კრედიტორი დაეთანხმება მოთხოვნის შემცირებას, მისაღებია ასეთი წარდგენა გაკეთდეს გეგმაში. ასევე, შესაძლებელია, მოვალემ დააყენოს საკითხი მოთხოვნათა მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე. ამ დროს გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ყველა გამოსაყენებელი შემოსავლის დასაშვები ნაწილის მიმართვას გადახდებზე მთელი ხუთი წლის განმავლობაში.²⁶ თუ კრედიტორი არ დაეთანხმა მისი მოთხოვნის შემცირებას, სასამართლოს მაინც შეუძლია დაამტკიცოს გეგმა თუ იგი მე-7 თავის მიხედვით გაკოტრების დროს გაყიდვის შემთხვევაში იმაზე მეტს ვერ მიიღებდა რაც წარმოდგენილია გეგმაში.²⁷

უზრუნველყოფილი კრედიტორების შემთხვევაში გეგმა შესაძლებელია ითვალისწინებდეს უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოდიფიკაციას²⁸: ა) როცა უზრუნველყოფის საგნის ღირებულება ნაკლებია მოთხოვნაზე, ან ბ) როცა გეგმა მოიცავს უზრუნველყოფილი კრედიტორის მიერ უზრუნველყოფის უფლების შენარჩუნებას მოვალის ვალებისგან გათავისუფლებამდე ან სხვა ტიპის სამართალწარმოებით მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე.²⁹

არსებობს ვალების კატეგორია, რომელთაგან გათავისუფლება არ ხდება არც ერთ შემთხვევაში და ისინი მიყვება მოვალეს მე-13

²⁶ 11 U.S.C. §1322 (a) (2,3,4).

²⁷ 11 U.S.C. §1328 (b)(2).

²⁸ 11 U.S.C. §1322 (b) (2).

²⁹ 11 U.S.C. §1325 (a)(5)(B).



თავის პროცედურების დასრულების შემდეგაც. მათ შორის არის სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ან ჯარიმის გადახდის ვალდებულებები, საოჯახო ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები, გარკვეული საგადასახადო ვალდებულებები.³⁰

სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მოვალის ვალდებულებების გათავისუფლებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ მან ვერ შეასრულა ბოლომდე დაფარვის გეგმა, მაგრამ შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ისეთი გარემოებებით, რომელთა დადგომამაც მოვალე სამართლიანად არ შეიძლება იყოს ანგარიშვალდებული.³¹ მე-13 თავი გამიზნულია მხოლოდ იმ ვალდებულებების პატიებაზე, რაც ისედაც უიმედოა და კრედიტორმა ტყუილად უნდა დახარჯოს დრო და ფინანსები მის მისაღებად. გარდა ამისა, კრედიტორებს ეზრდებათ შანსი მიიღონ შესრულება, თუკი მოვალეს აქვს თანამშრომლობის განზრახვა. ეკონომიკური რეაბილიტაციით მოტივირებული მოვალე მოახერხებს შემოსავლის წყაროს მოძებნას და არ მიმართავს სოციალურ სერვისებს ან კრიმინალურ საქმიანობას. ეს კი თავის მხრივ შეამცირებს საზოგადოებისთვის ხარჯს და თავიდან აარიდებს გადასახადების დაკარგვას.³² გარდა ამისა, ვალდებულებების გათავისუფლება დამოკიდებულია მოსამართლის მხრიდან კონკრეტულ გარემოებებზე მსჯელობასა და შეფასებებზე, რაც, გარკვეულწილად, იძლევა სამართლიანი წარმოების გარანტიას.

საქართველოს რეალობაში მნიშვნელოვანია გააზრებულ იქნეს ვალდებულებების გათავისუფლების ინსტიტუტის საჭიროება. რამდენად აუცილებელია რიგ შემთხვევაში ახალი საწყისის შანსი მიეცეს კეთილსინდისიერ პირს. საქართველოს კანონით გაკოტრების შემთხვევაში იურიდიული პირის ვალდებულებების გათავისუფლება ავტომატურად ხდება, რადგან ქონების გაყიდვის და თანხის კრედიტორებზე განაწილების შემდეგ იურიდიული პირი უქმდება. მოვალე აღარ არსებობს და მასთან ერთად მოთხოვნაც ქრება. ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში კანონი და სასამართლო პრაქტიკა არ ითვალისწინებს, თუ რა ხდება გაკოტრების დასრულების შემდეგ. რეაბილიტაციის დროს კანონის მოთხოვნაა ვალდებულების ასი პროცენტით გადახდა.³³ პრაქტიკამ გამოავლინა რომ ეს შეუძლებელია ან დაკავშირებულია დროის ხანგრძლივ მონაკვეთთან. ამის მაგალითი შეიძლება იყოს შპს „კოლხის“ გადახდისუუნარობის საქმე³⁴, რომელიც დაიწყო 2012 წლის 17 ივლისს და მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებით

³⁰ 11 U.S.C. §1328 (a).

³¹ 11 U.S.C. §1328 (b)(1).

³² Lennander Gertrud, *Debt adjustment for private individuals*, 35 Scandinavian Stud. L. (1997) p. 139.

³³ საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 3(ს).

³⁴ შპს „კოლხის“ გადახდისუუნარობის საქმე #2/8772-1012. იხ. <<https://matsne.gov.ge>>.



მაღევე გადავიდა გაკოტრებაში.³⁵ მოგვიანებით, კრედიტორთა გადაწყვეტილებით, 2013 წლის 25 სექტემბრიდან საწარმო მოექცა რეაბილიტაციის რეჟიმში.³⁶ თუმცა მოვალემ და კრედიტორებმა ვერ მოახერხეს გეგმის შედგენა, რადგან ვალდებულებების სრულ დაკმაყოფილებას მრავალი წელი დასჭირდებოდა და ეს არ იყო მომგებიანი მხარეებისათვის. საბოლოოდ, 2014 წლის 17 დეკემბერს საქმე დაბრუნდა გაკოტრების წარმოებაში.³⁷ ორ წელზე მეტი მართო მოვალის გადარჩენის მცდელობაში დაიხარჯა, თუმცა არსებული საკანონმდებლო მოთხოვნის პირობებში ეს მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა. მეორე მაგალითია შპს „ჯიქიას“ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება,³⁸ რომელიც დაიწყო 2011 წლის 28 იანვარს. წარმოება წავიდა რეაბილიტაციის გზით და 2012 წლის 10 თებრვალს დამტკიცდა რეაბილიტაციის ათწლიანი გეგმა,³⁹ გამომდინარე იქედან, რომ სრულად ვალდებულებების დაფარვას სჭირდება მოცულობითი სარეაბილიტაციო სამუშაოების გატარება. ორივე მაგალითი მიუთითებს ქართული კანონის მოუქნელობაზე. დროში ხანგრძლივად გაწელილი გადახდისუუნარობა არ არის ეკონომიკურად ეფექტიანი არც ერთი მხარისთვის. თუ კანონი შანსს აძლევს პირს თვითრეაბილიტაციაზე, მაშინ უნდა დაუშვას გარკვეული ვალდებულებების გათავისუფლება, რათა პროცესები გონივრულ ვადებში დასრულდეს. დღევანდელი რეგულირება 100%-იან დაკმაყოფილებაზე უფრო მეტად პრობლემური იქნება, როცა საქმე შეეხება ფიზიკური პირების რეაბილიტაციას, რადგან მოვალის სამუდამო გადახდისუუნარობა უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება როგორც მოვალისა და მისი ოჯახისთვის, ისე კრედიტორებისათვის და საზოგადოებისათვის.⁴⁰

4. ბალანსის მთავარი მექანიზმი

გადახდისუუნარობის რეჟიმი ბენჯის ხიდზე სიარულს ჰგავს - წარუმატებლობის ასარიდებლად ბალანსის ზუსტად დაცვაა საჭირო. იგი უნდა ემსახურობდეს როგორც კრედიტორთა ინტერესების დაცვას, ასევე მოვალის ქონების შენარჩუნებას. ქონების შენარჩუნება მოვალის საკეთილდღეოდ წარმოადგენს პირველად ამოცანას, ხოლო მეორადი ამოცანაა მისი რეალიზაცია და კრედიტორთა

³⁵ შპს „კოლხის“ გადახდისუუნარობის საქმე #2/8772-1012, მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილება. მხ. <<https://matsne.gov.ge>>.

³⁶ შპს „კოლხის“ გადახდისუუნარობის საქმე #2/8772-1012, სასამართლოს განჩინება რეაბილიტაციის პროცესის დაწყების შესახებ. იხ. <<https://matsne.gov.ge>>.

³⁷ შპს „კოლხის“ გადახდისუუნარობის საქმე #2/8772-1012, სასამართლოს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ. იხ. <<https://matsne.gov.ge>>.

³⁸ შპს „ჯიქიას“ გადახდისუუნარობის საქმე #2/395-11. იხ. <<https://matsne.gov.ge>>.

³⁹ შპს „ჯიქიას“ გადახდისუუნარობის საქმე #2/395-11, კრედიტორთა კრების ოქმი 10.02.2012. იხ. <<https://matsne.gov.ge>>.

⁴⁰ Lennander Gertrud, *Debt adjustment for private individuals*, 35 Scandinavian Stud. L. (1997), p. 131.



დაკმაყოფილება, თუ მოვალემ ვერ შეძლო რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება.

მე-13 თავის მიხედვით წარმოების დაწყებისთანავე ძალაში შედის აკრძალვა მოვალის ან მისი ქონებისადმი მიმართული ქმედების განხორციელებაზე ან დაწყებული ქმედების გაგრძელებაზე, როგორცაა ადმინისტრაციული და სამოქალაქო წარმოებების დაწყება, საგადასახადო სასამართლოებისადმი მიმართვა, აღსრულების პროცედურები, თანხის ამოღება, ქონებაზე უფლების გადაცემა, ქონების დატვირთვა ვალდებულებებით. აკრძალვა ეხება წარმოებამდე წარმოშობილ საკითხებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.⁴¹ იგი ვრცელდება თანამოვალეზე და სხვა მესამე პირზე, რომელმაც განახორციელა მოვალის ვალდებულების უზრუნველყოფა თავისი ქონებით.⁴²

აკრძალვა ქონებასთან მიმართებაში გრძელდება მანამ სანამ ეს ქონება წარმოადგენს სამეურვეო ქონებას. აკრძალვა სხვა ნებისმიერ ქმედებაზე ძალაშია საქმის დახურვამდე, სასამართლოს მიერ წარმოებაზე უარის თქვამდე, ვალებისგან გათავისუფლების ბრძანების გამოცემამდე ან ასეთი ბრძანების გამოცემაზე უარის თქვამდე.⁴³

არის გამონაკლისებიც: არ ჩერდება და არ იკრძალება მოვალის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოება, სამოქალაქო სამართალწარმოება მამობის დადგენაზე, საოჯახო მხარდაჭერაზე, ბავშვის მეურვეობა-მზრუნველობაზე, განქორწინებაზე (თუ არ ხდება სამეურვეო ქონების გაყოფა), ოჯახურ ძალადობაზე, საოჯახო მხარდაჭერის ფარგლებში გადასახდელ თანხებზე (მაგ. ალიმენტი). გარდა ამისა აშშ-ის კოდექსის 362-ე პარაგრაფში საკმაოდ მოცულობითი ჩამონათვალია დამატებით სხვადასხვა ქმედებებისა, სხვადასხვა გარემოებებში და საფუძვლით, რომელიც არ ჩერდება და იკრძალება.⁴⁴

დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს, გააუქმოს ან შეცვალოს აკრძალვის პირობები გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით.⁴⁵

აკრძალვა ვრცელდება არა მარტო მე-13 თავზე, არამედ მთლიანად აშშ-ის გაკოტრების კოდექსზე. იგი წარმოადგენს წარმოებაში მხარეთა უფლებების ბალანსის მთავარ მექანიზმს. შედეგად, ერთი მხრივ, კრედიტორები დგებიან თანაბარ პირობებში, მეორე მხრივ, კი აკრძალვა უზრუნველყოფს სამეურვეო ქონების დაცვას. გარდა ამისა, მოვალე თავისუფლდება მუდმივი სტრესისაგან

⁴¹ 11 U.S.C. §362 (a).

⁴² 11 U.S.C. §1301.

⁴³ 11 U.S.C. §362 (c).

⁴⁴ 11 U.S.C. §362 (b).

⁴⁵ 11 U.S.C. §362 (d).



და ეძლევა საშუალება მთელი ძალისხმევა მოახმაროს ვალების მაქსიმალურად დაფარვას. აკრძალვის გამოყენება, მოდიფიკაცია და გამონაკლისები საკმაოდ დეტალურადაა მოწესრიგებული. სასამართლოს აქვს საშუალება, გაითვალისწინოს გარემოებები კონკრეტულ შემთხვევაში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ამით კიდევ უფრო გარანტირებული ხდება მხარეთა უფლებების დაცვა. გადახდისუუნარობის სამართლის ამოცანა უნდა იყოს კრედიტორთა უფლებების იმ დოზით შეზღუდვა, რაც აუცილებელია შედეგის მისაღებად. სწორედ ამ ბალანსის მექანიზმის გამო გადახდისუუნარობის წარმოებები უფრო მიმზიდველი რომარ გახდეს თაღლითებისათვის, მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერების პრინციპის არსებობა და სრულყოფილად გამოყენება.

საქართველოს კანონის მიხედვით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებით ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და არ დაიშვება ახალი ღონისძიებების დაწყება. ასევე, იკრძალება წარმოების დაწყებამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, ჩერდება ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების (მათ შორის საგადასახადო) დარიცხვა/გადახდა.⁴⁶ ქართული რეგულაცია საკმაოდ მწირია და არ მოიცავს არც ისეთ ფართო სპექტრს მოქმედებებისა, რომლებიც იკრძალება მე-13 თავით, და არც გამონაკლისების დეტალურ მოწესრიგებას. მიუხედავად ამისა, მოყვანილ რეგულაციას პრაქტიკაში შეეძლო ბალანსის მექანიზმის ფუნქცია შეესრულებინა რომ არა მისი გამოყენების ტექნიკური ხარვეზები. ეს განსაკუთრებით ეხება დაწყებული ღონისძიების შეჩერებას. საქართველოს კანონის მიხედვით შეჩერება ითვალისწინებს მხოლოდ იძულებითი აღსრულების ღონისძიებას და არაფერს ამბობს საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიებაზე.⁴⁷ გარდა ამისა, შეჩერება არ დგება როგორც შედეგი - კანონში არ არის გაწერილი პროცედურები იძულებითი აღსრულების მწარმოებელი ორგანოსთვის და ეს არც სასამართლოს განჩინებით წესრიგდება.

იძულებითი აღსრულების წარმოებისა და გამოყენებული საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიებების საფუძველზე მოვალეთა რეესტრისა⁴⁸ და საჯარო რეესტრის⁴⁹ მოვალეზე გაკეთებული ჩანაწერების არსებობა გამორიცხავს ქონების ყოველგვარ განკარგვას. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გადახდისუუნარობის დაწყებისას აღნიშნულ რეესტრებში ცვლილებას. გადახდისუუნარობის დაწყებამდე გამოყენებული ღონისძიებები ფაქტობრივად ძალაში რჩება და

⁴⁶ საქართველოს კანონის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 21, 2 (გ,დ).

⁴⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თავი XXIII.

⁴⁸ საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, თავი IV¹.

⁴⁹ საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ, თავი IV.



ხელს უშლის რეაბილიტაციის განხორციელებას, რადგან თუ გეგმაში გათვალისწინებულია, მაგალითად, ქონების იჯარით გაცემა, ეს შეუძლებელი იქნება რეესტრში არსებული ჩანაწერის გამო.

ხარვეზი, ასევე, იწვევს დისბალანსს ერთი რიგის კრედიტორთა თანასწორობის კუთხით. ღონისძიების გამოყენების საფუძველი არის კრედიტორის განცხადება. რადგან მისი გაუქმების მექანიზმი არ არსებობს, სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ წყვეტს საკითხს. საბოლოოდ კი, განცხადების ავტორი კრედიტორის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რეალურად განხორციელდება თუ არა დაწყებული ქმედებების შეჩერება ან მათი არსებობით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია. კრედიტორი უკვე დგება უპირატეს მდგომარეობაში, როგორც ეს მოხდა შპს „ჯიქიას“ საქმეში – აღნიშნული ხარვეზის გამო წელიწადზე მეტი დრო დასჭირდა რეაბილიტაციის მმართველის მხრიდან საპროცესო უზრუნველყოფის ავტორ კრედიტორებსა და დანარჩენ კრედიტორებს შორის მოლაპარაკებებს, რათა მიწის ნაკვეთზე მოხსნილიყო ყადაღა და განხორციელებულიყო პროექტის რეგისტრაცია.⁵⁰

საქართველოს კანონმდებლობის დახვეწის კუთხით ბევრი სამუშაო გასატარებელი, რათა აკრძალვის ინსტიტუტი გადახდისუნარობაში უფრო ქმედითი გახდეს. უპირველესად უნდა მოხდეს ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება და კანონში ზუსტი ჩანაწერის გაკეთება დარეგისტრირებული აღსრულების და უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმებაზე. ხოლო შემდგომში, საჭიროა, აკრძალვის შინაარსი უფრო დეტალურად განისაზღვროს და სასამართლოს მიენიჭოს უფლებამოსილება, კონკრეტული გარემოებების საფუძველზე გამოიყენოს ან გააუქმოს აკრძალვა.

სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები ვალების კორექტირების წარმოებაში

შეერთებული შტატების გაკოტრების და მათ შორის მე-13 თავის პროცედურების წარმართვაში სასამართლოს მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს მინიჭებული:

- სასამართლო წყვეტს წარმოების დაწყების საკითხს, აფასებს რა მოვალის განცხადების და მასში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისობას კანონით დადგენილ მოთხოვნებთან.
- სასამართლო ადგენს კრედიტორთა მოთხოვნებს და მათ მოცულობას.
- სასამართლო ბრძანებით ამტკიცებს გეგმას. თუ კრედიტორები არ ეთანხმებიან გეგმას მათთვის მოთხოვნის შემცირების ან მოდიფიკაციის გამო, სასამართლოს მაინც შეუძლია დაამტკიცოს კანონით მითითებული გარემოებების გათვალისწინებით.

⁵⁰ შპს „ჯიქიას“ გადახდისუნარობის საქმე #2/395-11. იხ. <<https://matsne.gov.ge>>.



- სასამართლო გამოსცემს ბრძანებას გეგმის შესრულების შემდეგ დარჩენილი ვალებისგან კრედიტორის გათავისუფლებაზე. სასამართლოს შეუძლია, რიგი გარემოებების გათვალისწინებით გაათავისუფლოს მოვალე დარჩენილი ვალებისგან მაშინაც, როცა მან სრულად ვერ შეძლო გეგმის შესრულება.

- სასამართლო წყვეტს თავების გარდაქმნის ან წარმოების შეწყვეტის საკითხს.

- სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ვალებისგან გათავისუფლების ბრძანება, თუ აღმოჩნდება რომ ასეთი ბრძანების მიღება მოხდა თაღლითური გზით.

- სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს ბიზნესში ჩართული ფიზიკური პირის ბიზნეს საქმიანობა.

- სასამართლოს შეუძლია გადააყენოს მეურვე, რაც იწვევს მის გადაყენებას შესაბამისი თავის მიხედვით აღძრულ ყველა მიმდინარე საქმიდან.

- სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მეურვის მომსახურების საფასურის და ხარჯების ანაზღაურების ფარგლები, დააწესოს გარკვეული ლიმიტები.⁵¹

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით სასამართლო მხოლოდ ფორმალური „სამკაულია“ წარმოებაში და არ შეუძლია ზეგავლენა იქონიოს პროცესებზე:

- სასამართლოს საქმის წარმოებაში მიღებისას მხოლოდ ფორმალურ საფუძვლებს ამოწმებს.

- სასამართლო განიხილავს და აღიარებს კრედიტორთა მოთხოვნებს.

- სასამართლო ნიშნავს მომრიგებელი საბჭოს მესამე წევრს, თუ მასზე ვერ შეთანხმდება დანარჩენი ორი წევრი.

- მოსამართლე თავმჯდომარეობს კრედიტორთა კრებებს, რა დროსაც ნოტარიუსის ან მოდერატორის ფუნქცია უფრო აქვს და გადაწყვეტილების მიღებაში არ იღებს მონაწილეობას.

- დაახლოებით ასე შეიძლება მოკლედ აღიწეროს სასამართლოს როლი გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში. დანარჩენ საკითხებს პირდაპირ კანონი აწესრიგებს ან კრედიტორთა კრება წყვეტს.

- პრაქტიკაში ყველაფერი კიდევ უფრო რთულად არის. ქართული კანონი ბევრ საკითხს ტოვებს რეგულაციის გარეშე, ხოლო სასამართლო ხშირად ვერ ბედავს ჩაერიოს პროცესში და თავად შეავსოს ეს სიცარიელე.

საქართველოში სასამართლოს როლის და ფუნქციების გაზრდას მომხრეებიც ეყოლება და მოწინააღმდეგეებიც. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად საკანონმდებლო მოწესრიგება

⁵¹ 11 U.S.C. §502, §1328, §1328 (b), §1307, §1330, §1304, §324, §326 (b)

მოუქნელია და ინდივიდუალური საკითხის გადაწყვეტა ცოცხალი გონების მსჯელობის შედეგად უფრო ეფექტური იქნება. გარდა ამისა, გარკვეული საკითხები, რაც დღეს კრედიტორთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება, უფრო უკეთესად მოწესრიგდებოდა სასამართლოს მიერ. ეს თუნდაც იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ კრედიტორების რაოდენობა შეიძლება დიდი იყოს და მათ განსხვავებული აზრი გააჩნდეთ, რა დროსაც ძნელია კონსენსუსის მიღწევა.

სასამართლოს უფლებამოსილების გაზრდა შეერთებულ შტატებშიც დროთა განმავლობაში მოხდა. 1978 წელს გატარებული რეფორმის შედეგად კონგრესმა მე-13 თავში უარი თქვა კრედიტორების უმრავლესობის მიერ გეგმის დამტკიცების წესზე. საამისოდ მინიმუმ ორი მიზეზი არსებობდა. პირველი, მე-13 თავის მიხედვით გეგმა ვერ დამტკიცდება თუ არ ითვალისწინებს არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის მინიმუმ იმ თანხის გადახდას რასაც ისინი ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდნენ. ამდენად, გეგმა უნდა ჯდებოდეს არაუზრუნველყოფილი კრედიტორების საუკეთესო ეკონომიკურ ინტერესებში. მეორე, არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის ვეტოს უფლების ჩამორთმევით კონგრესმა მოუსპო კრედიტორებს მოვალეზე მანიპულირების საშუალება მოთხოვნის მოცულობის გაზრდის ან ლიკვიდაციის დაწყების მიზნით. ასეთი მიდგომა შესაბამისობაში მოდის მე-13 თავის პროცედურების ნებაყოფლობით ბუნებასთან და აძლიერებს მას.⁵²

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საქართველოში არ არსებობს სპეციალიზირებული სასამართლოები, რაც საქმის წარმოების ვადებზე აისახება კიდევაც - შპს „დარიალის“ საქმეზე გაკოტრების წარმოება დაიწყო 2013 წლის 15 ივნისს,⁵³ კრედიტორთა ბოლო კრება ჩატარდა 2014 წლის 19 თებერვალს,⁵⁴ ხოლო კანონით გაკოტრების საქმის წარმოების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 225 დღეს.⁵⁵ ამდენად, თუ დღის წესრიგში დადგება ფიზიკური პირებისთვის გადახდისუუნარობის პროცესის შემოღება და სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოება, იქვე უნდა დადგეს საკითხი სპეციალური სასამართლოების შექმნის შესახებ.

ჩანასახოვანი რეგულაციები და პრაქტიკა ქართულ რეალობაში

ქართულ კანონმდებლობაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ნორმა და პროცედურა, რომელიც წარმოადგენს ჩანასახოვან რეგულაციას ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის წარმოებისათვის ვალების

⁵² Butler, Morrelis, *Proceedings for the adjustment of debts of individuals with regular income under the Bankruptcy Reform Act of 1878*, 28 Emory Law Journal (1979), p. 778.

⁵³ შპს „დარიალი 2007“-ის გადახდისუუნარობის საქმე #2/7448-12. იხ. <<https://matsne.gov.ge>>.

⁵⁴ შპს „დარიალი 2007“-ის გადახდისუუნარობის საქმე #2/7448-12. იხ. <<https://matsne.gov.ge>>.

⁵⁵ საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 51.



კორექტირების და მათგან გათავისუფლების კუთხით:

საბანკო სესხების რესტრუქტურირაცია. ბანკიდან სამომხმარებლო სესხების აღება თანამედროვე ადამიანისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა და ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის დიდი წილიც ამ სექტორზე მოდის. თუმცა ხშირ შემთხვევაში მომხმარებელი ვერ საზღვრავს თავის შესაძლებლობებს და შედეგად პრობლემები ექმნება ბანკის წინაშე ვალდებულებების შესრულებაში.

უკანასკნელი ტენდენციებით მნიშვნელოვნად იზრდება დაკრედიტება სამომხმარებლო სექტორში და ვალის მომსახურების ტვირთი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში არის საკმაოდ მაღალი, რაც შეიძლება შეიცავდეს დიდ საფრთხეებს. ამავე დროს დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანაში როგორც ჯერ კიდევ არის საქართველო, ევროპული სტანდარტით არაფერი გასაკვირი და უხერხული არაა იმაში, რომ მოსახლეობის ნაწილს შეიძლება შეეცმნას პრობლემა ვალის მომსახურების თვალსაზრისით და მიაკითხოთ საკრედიტო ინსტიტუტებს სესხის რესტრუქტურირაციის მიზნით.⁵⁶ იგივეს მოწმობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკაც, სადაც ნაჩვენებია რომ 2012 წლის განმავლობაში ვალდებულებითი სამართლის ხაზით სასამართლოში შესული 1913 საქმიდან 561, ხოლო 2013 წელს შესული 2398 საქმიდან 2393 საქმე ეხებოდა საბანკო მომსახურებას.⁵⁷

საქართველოში მოქმედი საკრედიტო ინსტიტუტების მიერ ხშირად ხდება პრობლემური სესხების რესტრუქტურირაცია. პროცედურა სახელშეკრულებო სამართლით რეგულირდება და შესაძლებელია მოიცავდეს პირგასამტეხლოების და დარიცხული პროცენტების შემცირებას და დავალიანების გადახდის ახალი გრაფიკის შედგენას. რესტრუქტურირაციის განხორციელება სესხის გამცემის ნებაზეა დამოკიდებული.

ვალების კორექტირება სასამართლო მორიგებით. სამოქალაქო საპროცესო წარმოება იცნობს დისპოზიციურობის პრინციპს, რომელიც მოიცავს, აგრეთვე, მხარეთა უფლებას ნებისმიერ ეტაპზე მორიგებით დაამთავრონ საქმე.⁵⁸ მორიგება სამართალწარმოებაში საკმაოდ პოზიტიური მექანიზმია. იგი სასამართლოს აძლევს საშუალებას მოუწოდოს მხარეებს მორიგებისკენ, მიუთითოს რა ამ წესით ურთიერთობის მოგვარების დადებით მხარეებზე და დროისა და ფინანსების დაზოგვაზე. მხარეებსაც ხშირად შეიძლება ერივნოთ გარკვეული პოზიციების დათმობა საქმის სწრაფად მოგვარების მიზნით.

ვალების კორექტირება ხელშეკრულების მისადაგებით შეცვლილი გარემოებისადმი. თუ გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების

⁵⁶ <<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=2461>> [25.11.2016].

⁵⁷ <<http://tcc.gov.ge/index.php?m=534&newsid=179>> [25.11.2016].

⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 3.



დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნას შეცვლილი გარემოებებისადმი. თუ მხარე არ დაეთანხმება, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების მკაცრი დაცვა.⁵⁹ ეს გარკვეული მცდელობაა მოვალესა და კრედიტორს შორის ურთიერთობის დარეგულირების. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ ან შეუძლებელია ცვლილების გაკეთება, მაშინ მხარეს, რომლის ინტერესიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.⁶⁰

ვალებისგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის შემდეგ მოთხოვნის წაყენების უფლება უქმდება და მოვალე ავტომატურად თავისუფლდება ვალდებულებისგან.⁶¹ თუმცა, ეს იმაზე მეტ დროსთან არის დაკავშირებული, ვიდრე გადახდისუუნარობის წარმოებას სჭირდება.

ვალებისგან გათავისუფლება აღსრულების შეწყვეტის საფუძველზე. ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად მისაქცევად ზოგადი ხანდაზმულობის გარდა, რომელიც 10 წელს შეადგენს, სააღსრულებო წარმოებისთვის განსაზღვრულია წარმოების მაქსიმალური ვადა - 10 წელი.⁶² ამას წინ უსწრებს მოთხოვნის წაყენების ხანდაზმულობის ვადები და სასამართლო წარმოების ვადები.

ეკონომიკური თვალსაზრისით ეს მეტად ხანგრძლივი პერიოდია ორივე მხარისათვის და შეიძლება მოვალის სიცოცხლის დიდი ნაწილი დასჭირდეს.

ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი რეგულაცია არ არის გათვლილი სამოქალაქო ურთიერთობების ეკონომიკურ მიზანზე კეთილსინდისიერი მოვალისათვის ახალი შანსის მიცემის გზით.

⁵⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398 (1).

⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398 (2).

⁶¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თავი მეორე.

⁶² საქართველოს კანონი საარსრულებო წამოებათა შესახებ, მუხლი 34.



დასკვნა

მსოფლიო ბანკის მიერ ყოველწლიურად ჩატარებულ ბიზნესის წარმოების სიმარტივის კვლევის საქართველოს ეკონომიკურ პროფილში აღნიშნულია, რომ „გადახდისუუნარობის ჯანსაღი სისტემა მოქმედებს ფილტრის პრინციპით, უზრუნველყოფს რა ეკონომიკურად მომგებიანი კომპანიების გადარჩენას და არამომგებიანი კომპანიების რესურსების გადაადგილებას“.⁶³

მე-13 თავის შესწავლით იკვეთება გადახდისუუნარობის სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა მოვალის კეთილსინდისიერების დადგენა, მოვალისა და მისი ქონების დაცვა, ვალების კორექტირების და ჩამოწერის ფარგლები, სასამართლოს უფლებამოსილება. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული მიდგომები სათანადოდ არ არის რეგულირებული საქართველოს კანონმდებლობით, მათი დანერგვა ვერ ხერხდება ვერც სასამართლო პრაქტიკით. ეს, უპირველეს ყოვლისა, არღვევს გადახდისუუნარობის სამართლის სისტემის ერთიანობას და აფერხებს სასურველი შედეგის მიღებას.

შეერთებულ შტატებთან შედარებით საქართველო გაცილებით ახალგაზრდა კაპიტალისტური ქვეყანაა. ზოგადად გადახდისუუნარობის პროცედურების დამკვიდრება მხოლოდ 1996 წლიდან დაიწყო, თუმცა ქვეყნის განვითარებისკენ სწრაფვა თავისთავად აყენებს დღის წესრიგში რეფორმის აუცილებლობას. ეს განსაკუთრებით ეხება კეთილსინდისიერი ფიზიკური პირებისთვის გადახდისუუნარობის დანერგვას და ვალების კორექტირების საშუალებას, რაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

⁶³ Economy profile for Georgia, p.73. იხ. <<http://www.doingbusiness.org>> [15.11.2016].



პოტენციური მამის თანხმობის საკითხი
ექსტრაკორპორალური¹ განაყოფიერებით შექმნილ
ემბრიონის² ტრანსფერზე ან მის განადგურებაზე

გიორგი გ. თუმანიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)
ევროპის აკადემია (საქართველო)
მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

საკვანძო სიტყვები: ნაყოფი, ემბრიონი, კრიოპრეზერვაცია, თანხმობა, ბიოლოგიური, მშობელი, მამა, დედა, სამედიცინო დაწესებულება

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება საკითხს, როდესაც საქმე გვაქვს წყვილის სურვილთან იყოლიონ საერთო, ბიოლოგიური შვილი, ხოლო ამის განხორციელება ხელოვნური განაყოფიერების გარეშე - შეუძლებელია ან დაკავშირებულია ჯანმრთელობის დაზიანების მაღალ რისკთან. პოტენციურ მშობლებსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის დადებულია ხელშეკრულება კვერცხუჯრედის განაყოფიერებისა და ემბრიონ(ებ)ის შექმნაზე, მათ კრიოპრეზერვაციაზე. ასევე შესაძლოა დადებული იყოს ხელშეკრულებანი, რომლებიც მოიაზრებს კრიოპრეზერვირებული ემბრიონების შემდგომ ტრანსფერს სუროგატი დედის სხეულში.

ნაშრომში განხილულია საკითხი, როდესაც ემბრიონ(ებ)ის შექმნის (ხელოვნური განაყოფიერება) შემდეგ, სანამ განხორციელდა ემბრიონის ტრანსფერი სუროგატი დედის სხეულში, პოტენციური ბიოლოგიური მამა უარს ამბობს ტრანსფერის განხორციელებაზე ან/და მოითხოვს სამედიცინო დაწესებულებებისგან ემბრიონ(ებ)ის განადგურებას, ხოლო პოტენციურ ბიოლოგიურ დედას სურს ბემოხსენებული ტრანსფერის განხორციელება.

ასეთ დროს სამედიცინო დაწესებულების მხრიდან ნებისმიერი მოქმედების განხორციელება აწყდება გარკვეულ სამართლებრივი ვაკუუმს, ვინაიდან უკვე შექმნილია ემბრიონ(ებ)

¹ ექსტრაკორპორალური განაყოფიერება - წარმოდგენილ ნაშრომში გამოიყენება ინ ვიტრო ფერტილიზაციის სინონიმური მნიშვნელობით. **ინ ვიტრო ფერტილიზაცია (In Vitro fertilization)** - ინსტრუმენტული გზით მიღებული ადამიანის კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის შერწყმა ხელოვნურად შექმნილ ჭურჭელში.

² ნაშრომში განხილულია, როგორც განაყოფიერებული კვერცხუჯრედის, ისე არაკრიოპრეზერვირებული და კრიოპრეზერვირებული ემბრიონის შემთხვევები. ტერმინი ემბრიონი გამოყენებულია შემდეგი შინაარსით: ემბრიონი (Embryo) - ადამიანის გამეტების შეერთების შედეგი განვითარების ყველა სტადიაზე ნაყოფის ჩამოყალიბებამდე.



ი, მათი განადგურებისათვის კი აუცილებელია ორივე პოტენციური მშობლის (ხელშეკრულების მხარის) წერილობითი თანხმობა. ასევე, აუცილებელია წერილობითი თანხმობა ემბრიონ(ებ)ის ტრანსფერზე სუროგატი დედის სხეულში. როგორ უნდა მოიქცეს სამედიცინო დაწესებულება ან/და სასამართლო ასეთ ან/და მსგავს სამართლებრივ სიტუაციებში?

ნაშრომში განხილულია ზემოხსენებული შემთხვევები, მსჯელობა მიმდინარეობს ფილოსოფიის, სამართლის, მედიცინისა და ბიოეთიკის ჭრილში და შემოთავაზებულია სახელმძღვანელო წინადადებები სადავო საკითხ(ებ)ში მონაწილე სუბიექტებისათვის. მსჯელობა და მიღებული დასკვნების გამოყენებადობა არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი კონკრეტული ქვეყნის მასშტაბით და გამოყენებადია თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისათვის და შესაძლოა წარმოადგენდეს მომავალი პოზიტიური სამართლის ფორმირების წყაროს.

ნაშრომის აბსტრაქტში მოცემული პრობლემური საკითხის მასშტაბის განზოგადებისათვის წარმოვიდგინოთ ვითარება, რომლის დროსაც წყვილს სურს ბიოლოგიური, საერთო შვილის ყოლა, მაგრამ ეს შეუძლებელია შესაბამისი სამედიცინო ჩარევის გარეშე. მათ განაცხადეს თანხმობა, რომ სამედიცინო დაწესებულებას მათი ბიოლოგიური მასალით - გამეტებით (სპერმატოზოიდი, კვერცხუჯრედი) - მოეხდინა კვერცხუჯრედის ექსტრაკორპორული განაყოფიერება, რაც შემდგომ (წყვილსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე) განახორციელა სამედიცინო დაწესებულებამ. შექმნა ემბრიონ(ები), განხორციელდა მათი კულტივაცია,³ ნაწილი მომზადდა ტრანსფერისათვის (იმპლანტაცია)⁴ და ემბრიონების ნაწილის კრიოპრეზერვირება⁵ მოხდა (შენახვისა და შემდგომი ტრანსფერის მიზნით).⁶

სამედიცინო დაწესებულების მიერ ზემოჩამოთვლილი მოქმედებების შემდეგ, ემბრიონების ტრანსფერამდე (ეს შესაძლოა იყოს ემბრიონების შექმნისთანავე ან/და შექმნიდან ნებისმიერ დროს, მრავალი წლის განმავლობაში) პოტენციურმა ბიოლოგიურმა მამამ

³ კულტივაცია – გაზრდა ბლასტოცისტამდე. ბლასტოცისტა იმპლანტაცია – ბლასტოცისტას საშვილოსნოს კედელში ჩამყნობის პროცესი (გადატანა საშვილოსნოში).

⁴ იმპლანტაცია – ბლასტოცისტას საშვილოსნოს კედელში ჩამყნობის პროცესი (გადატანა საშვილოსნოში).

⁵ კრიოპრეზერვაცია - შენახვა-კონსერვაციის ფორმა, რომელიც ხორციელდება (სპეციალური წესით განხორციელებული) გაყინვის გზით.

⁶ ტრანსფერი - იმპლანტაცია, შეიძლება განხორციელდეს, როგორც ბიოლოგიური დედის, ისე სუროგატი დედის საშვილოსნოში.



განაცხადა უარი ემბრიონების შემდგომ ტრანსფერზე და:

ა) შემოიფარგლა ამ უარით;

ბ) მიმართა სამედიცინო დაწესებულებას შექმნილი, მათ შორის კრიოპრეზერვირებული ემბრიონების განადგურების (მო)თხოვნით.

შესაძლოა განსახილველ შემთხვევაში პოტენციური დედა, რომლის ბიოლოგიური მასალითაც შეიქმნა ემბრიონ(ებ)ი შვილოსნობის შემდგომ უნარს არის მოკლებული, რაც ნიშნავს იმას, რომ მას მხოლოდ უკვე შექმნილი ემბრიონების ტრანსფერის განხორციელებით შეუძლია გახდეს ბიოლოგიური (გენეტიკური) დედა.

როგორ უნდა მოიქცეს სამედიცინო დაწესებულება ან/და სასამართლო ასეთ ან/და მსგავს სამართლებრივ სიტუაციებში?

ხელოვნური განაყოფიერების წარმოშობის სამედიცინო, ფილოსოფიური თუ ბიოთიკური საფუძვლები⁷ მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწეოს ადამიანებს ბიოლოგიური (გენეტიკური) შვილის ყოლაში, იმპრობებში, როდესაც ეს გართულებული ან პრაქტიკულად შეუძლებელია (მომავალი ბიოლოგიური მშობლების) სქესობრივი აქტის შედეგად. ხელოვნური განაყოფიერება ხელს უწყობს ადამიანთა ნების რეალიზებას როდესაც მათი ფიზიოლოგიური შესაძლებლობები მოკლებულია მათი ნებელობის რეალიზებას. აღნიშნული არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ნების გამოვლენის რეალიზების სრულყოფისათვის და არა პირიქით.

ადამიანის ფიზიოლოგიის კვარცხლბეგს წარმოადგენს ადამიანის ნერვიული სისტემა, ტვინი და სამართლის ჭრილში მნიშვნელოვანი ცნება - ნებელობა, რომელიც განვითარებული ნერვიული სისტემის შედეგია. ადამიანის ნებელობითი ქმედების შედეგია განაყოფიერებაც. ხელოვნური განაყოფიერების არარსებობის პირობებში მამაკაცის ნებელობითი დამოკიდებულება სრულდება მაშინ, როდესაც ის ღებულობს გადაწყვეტილებას ეაკულაციის მდებარეობის შესახებ. მაშინ, როდესაც ეაკულაცია ხორციელდება ქალის საშოში, მამაკაცის ნებელობითი დამოკიდებულება ქალის შესაძლო ფეხმძიმობის შესახებ (იმ შემთხვევებში, როდესაც სქესობრივი აქტის მხარეები არ იყენებენ კონტრაცეპტულ საშუალებებს) უკვე გამოვლენილია. მამაკაცის შემდგომ ნებელობით

⁷ წინამდებარე კვლევაში ხელოვნური განაყოფიერების ქვეშ მოიაზრება კვლევის განხორციელების დროისათვის არსებულ სამედიცინო მიღწევები. კვლევაში წარმოდგინილი მსჯელობა შესაძლებელია არ იყოს ვალიდური შემთხვევებში, როდესაც ხელოვნური განაყოფიერება და ნაყოფის განვითარების ყველა სტადია იქნება შესაძლებელი ქალის ორგანიზმის ფარგლებს გარეთ - ხელოვნურ საშვილოსნოში. ასეთ დროს ემბრიონის განადგურების საკითხი საჭიროებს მის ხელახალ გააზრებას და ახლებურ მსჯელობას ემბრიონის განადგურების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ნაწილში - აბორტის უფლების ჭრილში.



დამოკიდებულებაზე აღარ არის დამოკიდებული კვერცხუჭრედის განაყოფიერება, განაყოფიერებული კვერცხუჭრედის შემდგომ კი ნაყოფის განვითარება და ბავშვის დაბადება ან არდაბადება. მამაკაცმა თავისი ნებითი დამოკიდებულება გამოავლინა სქესობრივი აქტის დასრულებით.

როდესაც არსებობს ხელოვნური განაყოფიერება, სპერმის დონაცია და ა.შ. მამაკაცის ნებელობითი დამოკიდებულება (მისი სპერმის გამოყენებით ემბრიონების შექმნა) სრულდება მისი სპერმის შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებისათვის გადაცემით.

მაშინ, როდესაც ქალი არის ფეხმძიმედ, ქვეყნების უმრავლესობაში დღევანდელ დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად 12 კვირამდე პერიოდში დაშვებულია აბორტი, რაც (ქვეყნებში. სადაც ეს დაშვებულია) წარმოადგენს ქალის, მხოლოდ ქალის, რომელიც არის ფეხმძიმედ, უფლებას. თავის მხრივ, აბორტი არ შეიძლება იყოს სხვა პირის უფლება. არ შეიძლება მამაკაცზე და არც ნებისმიერ სხვა პირზე იყოს დამოკიდებული (კანონით დაშვებული დროის მონაკვეთში და მითუმეტეს მის შემდგომ) აბორტის უფლება და მისი რეალიზება.

თუ გადმოვიტანთ აბორტის საკითხს განსახილველ შემთხვევაზე, რომელიც ეხება ხელოვნურ განაყოფიერებას, არ შეიძლება აბორტის უფლება ჰქონდეს ნებისმიერ სხვა პირს, გარდა სუროგატი დედისა, რომელიც არის ფეხმძიმედ. მიუხედავად იმისა, თუ ვის ბიოლოგიურ შვილს ატარებს იგი, ვინაიდან აბორტი, თავის მხრივ, დაკავშირებულია ფეხმძიმედ მყოფი ქალის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებთან და ამ პირის ჯანმრთელობასთან. ასევე მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა უკვე შექმნილი ემბრიონი, დაუშვებელია ამ ემბრიონის განადგურების ან შემდგომი ტრანსფერის საკითხი დაკავშირებული იყოს სპერმატოზოიდის ე.წ. გამცემთან, ვინაიდან მან თავისი ნებელობითი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ უკვე გამოავლინა სპერმის შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებისათვის გაცემით/გადაცემით ან/და შესაბამისი ხელშეკრულების დადებით.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართალმდგომარეობაა დაფიქსირებული მხარეთა შორის (პოტენციური მშობლები, სუროგატი დედა, სამედიცინო დაწესებულება) დადებულ ხელშეკრულებაში, ემბრიონის განადგურების ან/და ტრანსფერის საკითხი დამოკიდებული უნდა იყოს:

- ა) ქალზე, რომლის კვერცხუჭრედიც გამოყენებულია ემბრიონის შესაქმნელად იმ შემთხვევაში, თუ ეს ქალი ხელშეკრულების



ერთ-ერთი მხარეა და წარმოადგენს ე.წ. პოტენციურ მშობელს;

- ბ) ორივე პოტენციურ მშობელზე - თუ ემბრიონის შესაქმნელად გამოყენებულია დონორთა მასალა (კვერცხუჯრედი და სპერმა), ასეთი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ კლინიკამ უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

დაუშვებელია ქალის, რომელიც ამავდროულად არის პოტენციური მშობელი (ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე), ნების გარეშე ემბრიონის განადგურება, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ხელოვნური განაყოფიერება არსებობს მხოლოდ იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს იმ პირთა ნების რეალიზებას, რომელთაც ფიზიოლოგიური, ჩვეულებრივი სქესობრივი აქტის შედეგად არ შეუძლიათ საერთო შვილ(ებ)ის ყოლა. ამ ანალოგიის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური მშობელი (დედა-ქალი) ფეხმძიმედ არ არის(ფიზიოლოგიურად სხეულის ფარგლებში), განაყოფიერებულია მისი კვერცხუჯრედი, რაც ანალოგიის ფარგლებში მანამ, სანამ არ განხორციელდება ემბრიონის ტრანსფერი სუროგატი დედის საშვილოსნოში, კვერცხუჯრედის გამცემის ფეხმძიმობის ტოლფასია (გარდა შემთხვევისა, როდესაც კვერცხუჯრედი არის დონორის). შესაბამისად, არავის აქვს უფლება, ჩაენაცვლოს ამ ადამიანს აბორტის უფლებაში, როგორადაც გვევლინება ამ ემბრიონის განადგურების უფლება ნებისმიერი სხვა პირისმიერ, ან მისი ნებელობიდან გამომდინარე, თუ არა იმ ადამიანის ნებელობიდან, რომლის კვერცხუჯრედიც განაყოფიერებულია.

რაც შეეხება ემბრიონის ტრანსფერს, უკვე დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მიუხედავად ხელშეკრულებაში არსებული სამართალმდგომარეობებისა და მათი ფორმულირებისა, უკვე შექმნილი ემბრიონის ტრანსფერის უფლება აქვს მხოლოდ მის ბიოლოგიურ დედას (გარდა შემთხვევისა, როდესაც ბიოლოგიური დედა დონორია) ვინაიდან ზემოხსენებული ანალოგიის საფუძველზე ის არის ფეხმძიმედ, მანამ, სანამ ასეთი ტრანსფერი არ განხორციელდება, ხოლო ემბრიონის განადგურების უფლებაც მხოლოდ მას ეკუთვნის.

დასკვნის სახით:

ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებულ სამართალ-ურთიერთობებში, როდესაც სახეზე გვაქვს პოტენციური მშობლების ბიოლოგიური მასალით შექმნილი ემბრიო(ნე)ბი,



ემბრიონის ტრანსფერის⁸ ან/და კრიოპრეზერვაციის (შენახვის) ან/და განადგურების განხორციელების შესახებ, სამედიცინო დაწესებულებამ საკმარისად უნდა მიიჩნიოს პოტენციური ბიოლოგიური დედის გადაწყვეტილება და დაუშვებელია, სამედიცინო დაწესებულების მიერ სხვა ნებისმიერი პირის, მათ შორის პოტენციური ბიოლოგიური მამის თანხმობის მოთხოვნა⁹, ვინაიდან ეს თანხმობა თავისი არსით არის აბორტის უფლება, რომელიც მხოლოდ ფეხმძიმედ¹⁰ მყოფ პირს გააჩნია.

სასამართლოებმა, მსგავსი საქმეების განხილვისას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა იხელმძღვანელონ წარმოდგენილ ნაშრომში მოცემული მსჯელობით, ვინაიდან ნებისმიერი სხვა მსჯელობა ეწინააღმდეგება ამ დრომდე არსებული,¹¹ ხელოვნური განაყოფიერების ფილოსოფიურ არსს და დანიშნულებას.

⁸ ტრანსფერის (იმპლანტაციის) განხორციელებამდე.

⁹ წარმოდგენილ კონტექსტში დამოუკიდებელი მსჯელობის საკითხია პოტენციური მამის უფლება-ვალდებულებების საკითხები, ისევე, როგორც შემდგომ - საალიმენტო და სხვა სახის საოჯახოსამართლებრივი ვალდებულებები, მათი მოცულობა და სამართლებრივი საფუძვლები.

¹⁰ განსახილველ შემთხვევაში: ა) მოიაზრება პოტენციური დედა, რომლის ბიოლოგიური მასალითაც შექმნილია ემბრიონი; ბ) სუროგატი დედა, რომლის საშვილოსნოშიც განხორციელდა ემბრიონის ტრანსფერი.

¹¹ იმ დრომდე სანამ ნაყოფის განვითარების ყველა სტადია არ იქნება ქალის ორგანიზმის გარეთ განხორციელებული, კვერცხუჯრედის ფერტილიზაციის პროცესიდან დაწყებული - ხელოვნურ საშვილოსნოში ნაყოფის განვითარების ყველა სტადიით, ხოლო შემდეგ ხელოვნური საშვილოსნოდან ნაყოფის გაჩენით (დაბადებით) დამთავრებული. ხელოვნური საშვილოსნოს შექმნის მიზანი, შესაძლებელია განსხვავდებოდეს ხელოვნური განაყოფიერების დღევანდელ დღეს არსებული ფილოსოფიურ-სამართლებრივი დანიშნულებისაგან და თავის საფუძველში მოიაზრდებდეს გარკვეული პროცესების ადამიანის ორგანიზმის მიღმა გადატანის სურვილს, რაც შესაძლებელია გვევლინებოდეს ქალის ორგანიზმის „ნაკლებ ფიზიკურ ცვეთის (წონაში მატება, ნივთიერებათა ცვლა, გადაღლა და ა.შ.)“, სხვადასხვა რისკის შემცირების, შრომისუნარიანობის სრული შენარჩუნების საკითხების გადაჭრის ალტერნატიულ გზად.



ვექილობის ინსტიტუტის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“¹

† ივანე სურგულაძე (1903-1983)

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

„ვეფხისტყაოსანში“ შემონახულია მეტად საყურადღებო ცნობა ვექილობის შესახებ. ტარიელის საძებრად წასულ ავთანდილს სამი ძმა შეხვდა, რომლებიც ჰყვებიან: სანადიროდ ვიყავით, ადგილები მოგვეწონა და ერთ თვეს ვნადირობდით:

„ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა მესროლნი დავაწბილენით,
მით ერთმანეთსა სამნივე ჩვენ კიდე დავეცილენით;
„მე უკეთ მოვჰკლავ, მე გჯობო“, სიტყვანი ვავაქილენით;
ვერ გავიჩინეთ მართალი, ვისარჩლეთ, ვითაკილენით“. (201).

როგორც ვხედავთ ძმებს შორის მოხდა შეცილება, კამათი, თუ რომელი რომელს სჯობდა ნადირობაში. საყურადღებო აქ ის არის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სასამართლოსათვის დამახასიათებელი ცნებებია გამოყენებული. საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს სასამართლოში არჩევდნენ საქმეს. ხდება ცილობა. ძველ ქართულში კი ცილობა მხარეთა შორის დავას ნიშნავდა. ცილობა ხდებოდა მხარეთა შორის და საბოლოოდ მას განსჯიდა ან განბრტობას მოახდენდა მსაჯული, მოსამართლე². ამ შემთხვევაშიც ცილობის საგანი ყოფილა სროლაში ჯობნის საკითხი. ამის გარშემო ვიკამათეთ, ვექილობა გავწიეთ, ე.ი. ჩვენ ჩვენი მოსაზრების ვექილები, დამცველები ვიყავითო, მაგრამ სიმართლე ვერ გამოვარკვიეთ, ვერ გავიჩინეთ მართალიო.

ძველ ქართულში სხვისადმი მიმართულ სამდურავსა და საჩივარს სარჩელი ეწოდებოდა. ოპიზართა სიგელის მიხედვით სარჩელი ნიშნავს საჩივარს, რომელიც სასამართლოს წარედგინება და რომელშიც დასაბუთებულია მოთხოვნა. ოპიზართა სიგელში საუბარია მხარეთა შორის „საზიდსა და სარჩელზე“. „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტროფში მინიშნებულია მაშინდელი სასამართლო პროცესისათვის დამახასიათებელი ტერმინები, კერძოდ: მხარეები, ცილობა, კამათი („ვავაქილენით“, მართალი ვერ გავაჩინეთ, ე.ი. ვერ შევთანხმდით). მაშასადამე, აქ სასამართლო პროცესის ყველა ნიშანია, მაგრამ ამ შემთხვევაში სასამართლო პროცესი არ შემდგარა. აქ მსაჯულები, მოსამართლენი არ არიან, მხოლოდ ძმები კამათობენ ერთმანეთში.

¹ პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში - „საბჭოთა სამართალი“, №5, 1966 (რედ.).

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, 1929, გვ. 476.



სასამართლო პროცესისათვის დამახასიათებელი ტერმინები, რომლებიც მოყვანილია „ვეფხისტყაოსნის“ ციტირებულ სტროფში, უეჭველს ხდის ამ ტერმინების სინამდვილისადმი შესატყვისობას. შეცოცხების, უბრალო კამათისათვის სასამართლო პროცესის სახის მიცემა, სავსებით შესაძლებელია და სასამართლო ტერმინების ასეთი მნიშვნელობით ხმარებას დღესაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

ყველა ამის შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია დავასკვნათ, რომ ტერმინი „ვაჟაქილენით“, რეალური ტერმინია, რომ იმ პერიოდში ვაქილები სასამართლო პროცესისათვის დამახასიათებელი ყოფილა, ე.ი. ვეჭილობა ცხოვრებისეულ ინსტიტუტად ჩანს.

სამეფო დარბაზში, მნიშვნელოვანისაქმეების გარჩევისას მოწვეულნი ყოფილან მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი (ოპიზართა სიგელი - XI საუკუნისა³). ეს მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი იურისტებია, რომლებიც, შესაძლებელია, ვეჭილებადაც გამოდიოდნენ ჩვეულებრივი სახის სასამართლოებში. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საეკლესიო სამართლის სპეციალისტებს მერჩულე ეწოდებოდათ⁴, საერო სამართლის სპეციალისტები კი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ვეჭილები ყოფილან.

საკვლევია ტერმინის შესწავლისათვის საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ადგილიც: ინდოეთში ხვარაზმშას უფლისწული ჩამოვიდა. ამის გამო ასმათი დაიბარებს ტარიელს. ტარიელი გაეშურა დანიშნულ ადგილას, მას ასმათი ნამტირალევი დახვდა. ტარიელი ეკითხება ასმათს ტირილის მიზეზს. ასმათი ასე მიმართავს ტარიელს:

„...შენი შესწრობილი ტირილსამცა ვით ავსცილდი?

გაუწყვედლად ვით გამართლო? რაგვარადცა გაგვაქილდი?!“

(554).

ამრი ასეთია: როგორ დავიცვა, როგორ გამართლო ყოველთვის, როგორ გავხდე შენი ვეჭილიო? აქ მინიშნებულია, რომ ვეჭილის ფუნქციაა დაიცვას ბრალდებული, გამოესარჩლოს მას. რასაკვირველია, სასარჩლო აქ არაფერი არ არის, მაგრამ ტარიელი საჭიროებს გამართლებას ნესტანის წინაშე, დაცვას ბრალდებისაგან. ასმათიც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ შენი ვეჭილი ვიყავიო. მოყვანილი ადგილების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფეოდალურ საქართველოში ვეჭილობის ინსტიტუტი არსებობდა.

აკად. ივ. ჭავჭავაძის მიხედვით ეხება ადვოკატის საკითხს ფეოდალურ საქართველოში. მას მოჰყავს გრიგოლ ქართლის ერისთავის ანდერძის ის ადგილი, სადაც ერისთავი წერს შიო მღვიმელის მისამართით: „მას საუკუნესა ორთავე მეოხად წარმოგვიდგენს წინაშე საყდრისა ქრისტეს ღმრთისა, ოდეს ყოველთა განსჯიდეს

³ საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., II, 1909, გვ. 1-5.

⁴ პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 18.



მსატული იგი უხილავი“. აკად. ივ. ჯავახიშვილი ასკვნის: ვინ იყვნენ ეს „მეოხენი და წარმოადგენდა თუ არა მეოხობა საქართველოში რაიმე დანაწესებას, „ადვოკატუს“-ების ოდნავ მაინც მსგავსად ბრალდებულთა დამცველები იყვნენ, თუ აქ მხოლოდ გავლენიან პირთა მოსარჩლეობა იგულისხმებოდა, ამის შესახებ ცნობების უქონლობის გამო, ჯერჯერობით მაინც არაფრის თქმარ შეიძლება“.⁵ დავით ბაგრატიონი ეხება თავის ნაშრომში ვექილის საკითხს⁶. ამ ნაშრომის მიხედვით, თუ ერთ-ერთი მხარე ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა სასამართლოში, მას შეუძლია სასამართლო გაგზავნოს თავის მაგიერ - „მენაცვლე“, რომელიც სასამართლომ ისევე უნდა მიიღოს როგორც მოჩივარი⁷, ამასთანავე, თუ მოჩივარს (ავადმყოფს) შეუძლია მონაცვლის აყვანა, ეს მან უნდა გააკეთოს, რომ სასამართლოს მუშაობა არ შეაფერხოს.⁸

დავითის ამ შრომის მიხედვით კეთილშობილ ობოლთათვის უნდა გამოარჩიონ ვექილი აზნაურთაგან, ვექილს ევალეება შეუნახოს ობოლს ქონება, მოახმაროს ის საჭიროებისამებრ და სხვა.⁹

დავითისამავენაშრომშიდანვრილებითარისგანსაზღვრულიობლის ვექილის უფლება-მოვალეობა: ვექილი უვლის ობოლის ქონებას, ზრდის ობოლს, ცდილობს მისი ქონების გადიდებას: „ვექილთა თანამდებობა არის, რათა იდავოს ნაცვლად ობოლთა რაჟსა ზედაც იყო სარჩელი“¹⁰. ვექილი ანგარიშს აბარებს ხელისუფალთ და ობოლის ვექილობისათვის ღებულობს გასამრჯელოს.¹¹

თუ „კაცმან თავის მაგივრად მოდავე იქირავოს ვინმე“, წერს დავით ბაგრატიონი, „იგიმოდავეშეირაცხოსვითარცანამდვილიმოჩივარი“, და ეს ვექილი, თუ ერთგულად ასრულებს თავის მოვალეობას, არ უნდა შეიცვალოს ის იმ გასამრჯელოს მიცემის გარეშე, რომელიც მას შეპირდნენ, მაგრამ თუ ვექილი თავის მოვალეობას „ვერაგად“ ასრულებს, ის არა თუ შეიცვლება ყოველგვარი „მიზღვის“ გარეშე, არამედ მოსამართლეთაგან კიდევ დაისჯება.¹²

XVIII საუკუნის მიწურულში შედგენილი „სამოქალაქო სჯულვილებაშიც“ გვხვდება ტერიმინი ვექილი: ძეგლის მიხედვით თუ ვინმე უცხო ქვეყანაში იყოს და ამიტომ სასამართლოში არ შეეძლოს გამოცხადება, არც ძმები ყავდეს, რომ მისი მაგიერობა გასწიოს, მაშინ „ვინმე ვექილი“ აიყვანოს, მას მიანდოს სასამართლოში

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, 1929, გვ. 497-498.

⁶ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, 1964.

⁷ იქვე, მუხლი 30, გვ. 25-26.

⁸ იქვე, C1, გვ. 154.

⁹ იქვე, C1, გვ. 154.

¹⁰ იქვე, C1, გვ. 175.

¹¹ იქვე, გვ. 176.

¹² იქვე, C16, გვ. 183.



საქმის წარმოებაო.¹³

1804 წლის ერთი საბუთის მიხედვით, ვინმე შუჭყიაშვილი თავისი მეუღლით სწირავს შიო მღვიმის მონასტერს ათ თუმანს იმ პირობით, რომ თავნი ხელუხლებლად იყოს, ხოლო პროცენტებით მონასტერმა უწიროს მას. ამასთანავე, შემწირველი სთხოვს მონასტრის ხელმძღვანელებს, რომ ეს თანხა - ათი თუმანი „მისცენ ვექილსა ერთსა და თთვე და თთვე მიიღებდნენ სარგებელსა“, ე.ი. ვექილის მოვალეობა იქნება გაასესხოს ფული და პროცენტები ყოვლთვიურად ჩააბაროს მონასტერს.¹⁴

საინტერესოა ამ საკითხზე რამოდენიმე ცნობა ლექსიკონიდან. ტერმინს „მეოხი“ იცნობს სულხან-საბას ლექსიკონი: „მეოხება-შენვენასავით“ არის, განმარტავს საბა. დავით ჩუბინაშვილის განმარტებით მეოხი შუამავალს, შემწეს ნიშნავს, ходатай, заступник, покровитель¹⁵. ამგვარადვე აქვს ეს სიტყვა განმარტებული ნიკო ჩუბინაშვილს: „მეოხი - შუამავალი, შემწე მფარველი, ходатай. „მეოხება-შუამავლობა, შველა, შეწევნა, ოხა представительство, ходатайство“.¹⁶

ქართული განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით მეოხი შემწეს, მფარველს ნიშნავს, ხოლო „მეოხება დახმარებას, შემწეობას, წყალობას“. ქომაგი დავით ჩუბინაშვილის განმარტებით მოსარჩელეს, მშველელს ნიშნავს. ქართული განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ქომაგი ნიშნავს „მოსარჩელეს, მფარველს, მშველელს, თანამდგომს. ამავე ლექსიკონის მიხედვით ვექილი არაბული ვაქილისაგან არის და ნიშნავს ადვოკატს. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ტერმინი მოსარჩლე ნიშნავს სარჩლად მიმყოლს, „რომელი მის მაგიერ ირჩოდეს“.

ტერმინებს მოსარჩლეს, ქომავს, მეოხეს უფრო ალწერილობითი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ამ ტერმინებით, შესაძლებელია ვიგულისხმოდ, როგორც საერთოდ დამხმარე და მფარველი, აგრეთვე, სასამართლოში წარმომადგენელიც.

ამგვარად წარმომადგენლობას საერთოდ, და კერძოდ სასამართლოში ადგილი ჰქონდა. უმრავლეს შემთხვევაში წარმომადგენელი შეიძლება ყოფილიყო უახლოესი ნათესავი, მამა, ძმა, ძმიშვილი და სხვა, რომელიც შეცვლიდა ავადმყოფს, ან ისეთ პირს რომელიც საზღვარგარეთ იყო და არ შეეძლო სასამართლოში ყოფნა; წარმომადგენელი შეიძლება ყოფილიყო მეურვე ობლის, მცირეწლოვანის, სულით ავადმყოფის და სხვა. წარმომადგენლობას

¹³ დ. ფურცელაძე, სამოქალაქო სჯულვილება, XVIII საუკუნის მიწურულის კანონპროექტთა კრებული, 1960, გვ. 63.

¹⁴ ალ. ხახანაშვილი, გუჯრები, 1891, გვ. 75.

¹⁵ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961.

¹⁶ დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887.



გამონაკლისი ხასიათი ჰქონდა. როგორც წესი, მხარეები თვითონვე უნდა გამოცხადებულიყვნენ სასამართლოში. ამიტომაც რომ ვახტანგის სამართლის წიგნში ან მისივე „დასტურლამალში“, რომლებშიაც დაწვრილებით არის საუბარი სასამართლო ორგანიზაციასა და სასამართლო პროცესზე, არ არის მოხსენებული ვეძილი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაერთიანებულ საქართველოში (XI-XIII საუკუნეებსა) და გვიანდელდღიურ პერიოდში (XVII-XVIII საუკუნეებში) წარმომადგენლობის მხრივ სხვადასხვა მდგომარეობა გვაქვს.

გაერთიანებულ საქართველოში სამართლის სპეციალისტები, იურისტები იყვნენ. „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“, რომელთაც სასამართლოში იწვევდნენ როგორც სპეციალისტებს და რადგან იწვევდნენ, ალბათ ამ სასამართლო პროცესში რაიმე სახით მონაწილეობენ კიდევ.¹⁷

რასაკვირველია, ადვოკატიც სასამართლოში ამა თუ იმ მხარის წარმომადგენელია, მაგრამ ეს იმიტომ კი არაა, რომ ადვოკატი ობლის, ან სულით ავადმყოფის მეურვეა, ან პროცესის ამა თუ იმ მხარის ნათესავია, არამედ იმიტომ, რომ ადვოკატი პროფესიით ასეთი საქმიანობისათვის არის მოწოდებული. ადვოკატი სპეციალობით იურისტი, მას სპეციალურად შესწავლილი აქვს სამართალი, კანონები, პროცესის წარმოება და ა.შ.. ადვოკატს მიმართავდა დაინტერესებული პირი, გადაუხდიდა ჰონორარს და მიანდობდა საქმის წარმოებას. საქმის აღების შემთხვევაში ადვოკატი ლეზულობდა ვალდებულებას ყოფილიყო წარმომადგენელი ამ დაინტერესებული პირისა და ეწარმოებია მისი საქმე. ასეთი ხელშეკრულების დადებისათვის, ადვოკატისა და დაინტერესებულ პირის გარდა საჭირო იყო, აგრეთვე, სახელმწიფოს მიერ საქმის ასეთი წესით წარმოების დაშვება, მისი ლეგალიზაცია. ასეთი რამ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სამართლის წიგნებით, ან ჩვეულებითი სამართლით. ადვოკატს კეთილსინდისიერად უნდა ეწარმოებია საქმე კანონის ფარგლებში. დაინტერესებულ პირსაც უნდა შეესრულებინა თავისი ვალდებულება, - გადაეხადა ადვოკატისათვის გასამრჯელო. თუ ადვოკატი არ შეასრულებდა თავის მოვალეობას, მის კლიენტს სასამართლოსათვის უნდა მიემართა; ასევე, ადვოკატი თუ შეპირებულ ჰონორარს არ მიიღებდა, კლიენტს სასამართლოში ურიკლებდა. ადვოკატებს შეიძლება ჰქონოდათ თავიანთი ორგანიზაცია, ამხანაგობა.

საშუალო საუკუნეებში სასწავლებლებში სამართალს ასწავლიდნენ. შეიძლება ვინმეს სპეციალურად სამართალი შეესწავლა, იურისტი გამხდარიყო, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა, რომ ის ადვოკატი

¹⁷ საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., II, გვ. 1-5; ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 7-30.



ყოფილიყო.

ასევე ითქმის ოპიზართა სიგელში მოხსენებულ იურისტების შესახებაც. თუ საერთოდ ადვოკატობის მსგავსი ინსტიტუტი იყო ფეოდალურ საქართველოში, ის უნდა ვეძიოთ XI-XII საუკუნეებში, მაგრამ ამ პერიოდის საბუთები ცოტაა, ხოლო იურისტების შესახებ ისეთი ცნობა, რომ ისინი სასამართლო პროცესში ღებულობდნენ მონაწილეობას, მხოლოდ ერთია (ოპიზართა სიგელი).

ფეოდალური საქართველოს კულტურის განვითარება გაერთიანების პერიოდში აღწევს მაღალ საფეხურს. მისი მწვერვალი „ვეფხისტყაოსანია“. კერძოდ, იურიდიულმა აზროვნებამ ამავე პერიოდში მაღალ დონეს მიაღწია, ამას მოწმობს ექვთიმე მთაწმინდელის შრომები, „ხელმწიფის კარის გარიგება“ და სხვა. ასეთ ვითარებაში მოსალოდნელია იურიდიული განათლების მაღალი დონეც, იურისპრუდენციის სხვადასხვა დარგის მიხედვით სპეციალიზაცია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იურისტი სასამართლოში პროცესის რომელიმე მხარის წარმომადგენელი იყო და მის მაგიერ საქმეს აწარმოებდა. ამ პერიოდის წყაროებში, როგორც ვნახეთ ვეჭილი მოხსენებულია, ის უნდა იყოს სწორედ „საბჭოთა“ საქმის „მეცნიერი“, ე.ი. იურისტი, მაგრამ თუ პირდაპირი საბუთი არ ვნახეთ, რომ ვეჭილი იმ დროს სასამართლოში საქმეს აწარმოებდა, როგორც პროცესის ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი, ისე არაპირდაპირი მონაცემებით ამის დამტკიცება შეუძლებელია (დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ სხვა შრომაში გვექნება საუბარი).

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით რა უფლება-მოვალეობა ჰქონდათ საქართველოში იურისტებს XI-XIII საუკუნეებში, მაგრამ ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ, ფეოდალურ საქართველოში იურისტებს, ოფიციალური აღიარება ჰქონიათ, რამდენადაც მათ სასამართლოში იწვევდნენ.

როგორც „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, მაშინდელ იურისტებს ვეჭილს უწოდებენ. ეს ტერმინი გაქართულებულია, ის მტკიცედ შესულა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში.

ტერმინი ვეჭილი შემდეგში არ გადავარდნილა ხმარებიდან. XVII-XVIII საუკუნეებში ამ ტერმინს სხვადასხვა მნიშვნელობა მიეცა.



სიფა განაგრძობს ადვოკატთა კლუბის ორგანიზებას თავისი წევრებისთვის. კლუბის წევრები ყოველთვიურად იკრიბებიან მათთვის სასიამოვნო და გასართობ ადგილას. ადვოკატთა კლუბის ფორმატი ითვალისწინებს სხვადასხვა გასართობ და ინტელექტუალურ თამაშებს, ასევე მუსიკალურ შეჯიბრებებს. აღნიშნული ხელს უწყობს სიფა-ს წევრი ადვოკატების ერთმანეთთან დაახლოებას და პროფესიული ურთიერთობის განმტკიცებას.

